ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 9 აპრილი, 2020 №83 (8347) ფასი: 60 თეთრი

## ლერმონტოვზე ავარიული შენობა ჩამოინგრა

3 მუშა დაშავდა

გვ.5



# „ოცნება“ ცდილობს, გამყრელიძის, ცერცვაძისა და იმნაძის ავტორიტეტი პიარისთვის გამოიყენოს“

გვ.3



## კორნელი კაკაჩია:

„ხელისუფლებაც და ოპოზიციის ნაწილიც ეკლესიასთან პოლემიკას ერიდება, რადგან იციან, რომ არჩევნებზე ბუმერანგივით დაუბრუნდებათ“

## გურამ ჩალაგაშვილი:

როდესაც ასეთი დაჩქარებით მიდის სასამართლო, აგრესიულია მოსამართლის ტონი, ეს ცხადყოფს იმას, რომ უპირებს, გამოუტანოს გამამტყუნებელი განაჩენი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე



გვ.3



## „მოსამართლე მაღლაკელიძეს ოქრუაშვილის ციხეში დატოვება დაევალა“

## ბექა ნაცვლიშვილი: „ბანკების ზემოგებებზე გასვლა უნდა დასრულდეს“

პირბადე თუ 50 თეთრი ეღირება, ძვირია

გვ.3



## შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს ხომალდებს მასპინძლობს

გვ.5





## დავით ლორთქიფანიძე: „მოსახლეობის ნაწილი კორონავირუსს არასერიოზულად უყურებს“

გვ.4

ISSN 1987-9385

4 ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობაში პანიკა იზრდება

5 5 და 7 წლის გოგონების მიმართ გარყვნილი ქმედებისთვის დ.ქ.-ს 9 წელი მიესაჯა

2 გაგრძელდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა საქართველოში

6 ევროპაში კოვიდ 19-ის შემთხვევები იკლებს

# ქუთაისის მერი გიორგი ჭილვარია გადადგა



ქუთაისის მერი გიორგი ჭილვარია თანამდებობას ტოვებს.

ამის შესახებ მან ფეისბუქში დაწერა.

„2017 წლის ნოემბერში, ქუთაისელების დიდი ნაწილის გადაწყვეტილებით, მე წილად მხვდა პატივი, გავმხდარიყავი ქუთაისის არჩეული მერი. ეს იყო როგორც უდიდესი ნდობა, ამასთანავე, უზარმაზარი პასუხისმგებლობაც.

იმ დღიდან დღემდე მე და ჩემმა გუნდმა ქალაქში მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი დავიწყეთ და დავასრულეთ. ბევრ მათგანზე ამ რთულ დღეებშიც კი არ შეჩერებულა მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საარჩევნო ვადა ჯერ არ ამოწურულა, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო ქუთაისის მერის თანამდებობა და წავიდე პოლიტიკიდან. თუმცა მე არ მივდივარ ჩემი ქალაქიდან და ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვიქნები. მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს თანაქალაქელებს გამოცხადებული ნდობისთვის, ჩემს გუნდს – გვერდით დგომისთვის, მედიას – თანამშრომლობისთვის. მშვიდობასა და წარმატებას ვუსურვებ ჩემს ქალაქს!" – დაწერა გიორგი ჭილვარიამ.

ქუთაისის მერის გადადგომას მმართველ გუნდში გამოეხმაურნენ.

– გიორგი ჭილვარიას სურვილი ჰქონდა, აკადემიურ საქმიანობაში დაბრუნებულიყო, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.

მან ჭილვარიას გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ის გუნდის ღირსეული წევრია.

– გიორგი ჭილვარია არის ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი. მინდა, მას მადლობა გადავუხადო გაწეული სამუშაოსთვის. როგორც ჩემთვის ცნობილია, მას სურვილი ჰქონდა, რომ აკადემიურ საქმიანობაში დაბრუნებულიყო, სადაც ის ადრე იყო. ამ სურვილის რეალიზაცია მოხდა დღეს და ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა.

მას მხოლოდ და მხოლოდ მადლობას გადავუხდი და შემდგომ საქმიანობაში წარმატებას ვუსურვებ, – განაცხადა მდინარაძემ.

კომენტარი გააკეთა ჭილვარიას თბილისელმა კოლეგამაც.

– ყველა ცვლილება უკავშირდება იმას, რომ სიტუაცია გაჯანსაღდეს, – განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

მისი თქმით, თუ იყო გარკვეული პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით, ისინი უნდა გამოსწორდეს.

– ახალი ენთუზიაზმით, ახალი სისხლითა და შემართებით უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სამუშაო და პროექტი, – აღნიშნა კალაძემ.

შეკითხვას, იყო თუ არა გუნდის მხრიდან ჭილვარიას მიმართ პრეტენზიები, კალაძემ ასე უპასუხა:

– პრეტენზიები ზოგადად ისეთი არაფერი, ალბათ საჭიროა განახლება და უფრო მეტი ენთუზიაზმი და უფრო მეტი შემართება.

# სერგი კაპანაძე: „საზღვარგარეთიდან საქართველოს მოქალაქეების ჩამოსაყვანად ბევრი ავიაკომპანიაა მზად"



– ძალიან ბევრი ავიაკომპანია დღესაც მზად არის საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ჩამოსაყვანად, თუმცა, როგორც ჩანს, პრობლემა ის არის, რომ საკარანტინო სივრცეები არ არის მზად და ამიტომ ხელისუფლებას ეს ხალხი უკან არ ჩამოჰყავს.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს" წევრმა სერგი კაპანაძემ განაცხადა. მისი თქმით, ხელისუფლებამ ეს ხალხი უახლოეს პერიოდში უნდა დააბრუნოს სამშობლოში ან გარკვეული კომპენსაცია გადაუხადოს, რათა მათ საცხოვრებელი პირობები ჰქონდეთ.

კაპანაძის თქმით, საზღვრებს გარეთ დარჩენილი საქართველოს მოქალაქეებისთვის გადასახდელი კომპენსაცია არ უნდა იყოს თვეში 600 ევროზე ნაკლები.

– მთავრობას ნამდვილად შეუძლია უფრო მეტის გაკეთება იმ ადამიანების დასახმარებლად და საქართველოში დასაბრუნებლად, ვინც ახლა საზღვრებს მიღმა გაიჭედა და ვერ ბრუნდება საქართველოში. ის ტემპი, რომლითაც ეს ადამიანები ბრუნდებიან, უბრალოდ, არადამაკმაყოფილებელია. ამ ტემპით თუ გაგრძელდა მათი დაბრუნება, ის რამდენიმე ათასი ადამიანი შეიძლება კიდევ 2 თვე იყოს უცხოეთში გაჭედილი, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

მისი აზრით, ეს სრულიად მიუღებელი პრაქტიკაა.

– სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნით დისკუსია იმაზე მიმდინარეობდა, თვითმფრინავები არის თუ არა. არაფერ შუაში არ არის აქ თვითმფრინავები. ძალიან ბევრი ავიაკომპანია დღესაც მზად არის მათ ჩამოსაყვანად. როგორც ჩანს, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საკარანტინო სივრცეები არ არის მზად და ამიტომ არ ჩამოჰყავს ხელისუფლებას ეს ხალხი უკან. ეს სრულიად მიუღებელია. ამიტომ ხელისუფლებას შევთავაზეთ, რომ კონკრეტული გეგმა უნდა ჰქონდეს, – აღნიშნა სერგი კაპანაძემ.

ამ გეგმის მიხედვით, ის ადამიანები, რომლებიც უკვე დარეგისტრირებული არიან ჩვენს საკონსულოებში და მათ უკვე დაფიქსირებული აქვთ დაბრუნების სურვილი, უახლოეს დღეებში უნდა ჩამოიყვანონ საქართველოში, თუ არადა, მათ უნდა გადაუხადონ გარკვეული კომპენსაცია, თვეში მინიმალური ხელფასი. ეს შეიძლება განსხვავებული თანხა იყოს სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით, მაგრამ არანაკლები 600 ევროზე.

– ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც ამის შემდეგ დარეგისტრირდებიან, 10 დღეში ან 1 კვირაში უნდა მოემსახურონ, თუ არადა, მათაც უნდა გადაუხადონ კომპენსაცია, რომ იქ საცხოვრებელი პირობები ჰქონდეთ.

ეს იქნებოდა სწორი და პასუხისმგებლობის მქონე მიდგომა და არა ის, რომ ყველაფერს აკეთებენ, რამდენიმე ასეული ადამიანი ჩამოიყვანეს და რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, – დასძინა სერგი კაპანაძემ.

# გია ვოლსკი: „საქართველო ამერიკის სანდო და ძლიერი პარტნიორია"



– საქართველოს ინტერესებშია, იყოს სანდო და ძლიერი პარტნიორი ამერიკისათვის, რომელიც არის ჩვენი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტი.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გია ვოლსკიმ ამერიკულ გამოცემა „დეილი სიგნალში" საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ინტენსიურია.

– ამერიკის შეერთებული შტატების არა მარტო სანდო, არამედ ხარისხობრივად მაღალი დონის პარტნიორი საქართველო დიდი ხანია, არის. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ინტენსიურია ჩვენი თანამშრომლობის პერიპეტიები. ასე რომ, არც ერთი გამოქვეყნებული სტატია არ უნდა გაგვიკვირდეს და არც – ზოგადად ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი პოლიტიკური დონიდან გაკეთებული განცხადება. ეს არ არის თემა, რომელიც კეკლუცობისთვის გამოგვადგება. საქართველოს ინტერესებშია, იყოს სანდო და ძლიერი პარტნიორი ამერიკისათვის, რომელიც არის ჩვენი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტი, – აცხადებს გია ვოლსკი.

პირველი ვიცესპიკერის თქმით, ქვეყნის ჩართულობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ოპერაციებში არ არის მხოლოდ „რაღაც წვლილი შეტანილი საერთაშორისო უსაფრთხოების თემაში".

– ამ საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილი არის საქართველო. ასე რომ, ჩვენ ვემსახურებით ჩვენს სამშობლოს და ვართ მართლაც სანიმუშო პარტნიორები ჩვენი მოკავშირეებისათვის, მათ შორის და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# ანრი ოხანაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად ყველაფერს გავაკეთებთ"



საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ანრი ოხანაშვილმა საზოგადოებას საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების პროცედურები გააცნო.

– პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვქონდა, დღის წესრიგშია. ჩვენ ამ შეთანხმების რეალიზების გეგმებზეც ვიმსჯელეთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდეს.

ამ ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა საგანგებო მდგომარეობის დასრულებისთანავე მოხდება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში კონსტიტუციისა და საკანონმდებლო რეგულაციების სრული დაცვით. ეს იქნება დისტანციური, ელექტრონული ფორმით წარმოებული განხილვა.

მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში ცვლილებებს შევიტანთ, დაგეგმილია ეუთო-ოდირის რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებების გატარება საარჩევნო კანონმდებლობაში. დარწმუნებული ვარ, ამ პოლიტიკურ კონსენსუსს ყველა ერთად მივიყვანთ ბოლომდე, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

# გაგრძელდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა საქართველოში

– ჩვენ აპრილის შუა რიცხვებში და აპრილის ბოლოს ვიმოქმედებთ ზუსტად იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იქნება.

ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრის პრესსპიკერმა ირაკლი ჩიქოვანმა კითხვას იმასთან დაკავშირებით, ხომ არ იგეგმება საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივება იმის გათვალისწინებით, რომ კორონავირუსით ინფიცირების პიკი აპრილის ბოლოსთვის არის მოსალოდნელი.

– საკოორდინაციო საბჭოსა და მთავრობის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ეყრდნობა პროფესიონალების, მედიკოსებისა და ეპიდემიოლოგების დასკვნებს, ასევე იმ გათვლებსა და მოლოდინებს, რომლებიც შეიძლება, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით გვქონდეს. შესაბამისად, გაგრძელდება ასეთივე გადაწყვეტილებების მიღება.

ჩვენ აპრილის შუა რიცხვებში და აპრილის ბოლოს ვიმოქმედებთ ზუსტად იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იქნება.

ყველა გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ დაეყრდნობა იმ რეალობას, რომელიც გვექნება ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით ქვეყანაში და ასევე იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც ჩვენ მივიღებთ ჩვენი მედიკოსებისა და ეპიდემიოლოგებისაგან, – განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

# საქართველოში წარმოებული პირბადეები 50 თეთრი ეღირება



საქართველოში წარმოებული პირბადეების გაყიდვაზე ლიმიტი დაწესდება და მოქალაქეს ერთ ჯერზე 3 პირბადის შეძენა შეეძლება.

8 აპრილიდან ქართული წარმოების პირბადეები სააფთიაქო ქსელებში შევიდა და თითოს ფასი 50 თეთრი იქნება.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ამბობს, საწყის ეტაპზე სარეალიზაციოდ ჩაეშვა 400 ათასი პირბადე.

ნათია თურნავა ამბობს, რომ სახელმწიფოს თითო პირბადის დამზადება 1 ლარზე მეტი უჯდება, თუმცა მთავრობა ფასის სუბსიდირებას მოახდენს და მოქალაქეებს მათი შეძენა, პრაქტიკულად, განახევრებულ ფასად შეეძლებათ.

# „ტესტი არაერთხელ მოვითხოვეთ, მაგრამ უარი გვითხრეს"

## ინფიცირებული სტიქაროსნის დედის პირველი კომენტარი



კორონავირუსით ინფიცირებული 17 წლის სტიქაროსნის დედა სახელმწიფოს უყურადღებობაში ადანაშაულებს.

ქალი, რომელიც თავადაც დაავადდა, ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც 25 მარტს მათ კორპუსში ინფიცირების 4 შემთხვევა დაფიქსირდა, მერიასა და გამგეობას სადარბაზოში დეზინფექციის ჩატარება სთხოვეს, თუმცა მათ უთხრეს, რომ შესაბამისი ხსნარები არ ჰქონდათ.

– ჩვენს სადარბაზოში 25 მარტს დაფიქსირდა კორონავირუსის 4 შემთხვევა. ამის შემდეგ არავინ მოსულა, არც დეზინფექცია ჩაუტარებიათ. დავრეკე მერიაში, გამგეობაში და მითხრეს, რომ ხსნარები არ აქვთ. სწორედ ამის გამო დავავადდით ჩვენ, რომ დეზინფექცია არ ჩავატარეთ. მე გარეთ გავდიოდი მხოლოდ პურზე, დანარჩენები იყვნენ სახლში. ჩემი შვილი სტიქაროსანია, მსახურებას არ ატარებდა. გარეთ შემოხაზული იყო და ყველა იქ იდგა პირბადით, თუ ვინმე დადიოდა, ეკლესიაში არავინ შედიოდა.

ამის შემდეგ გავიდა 2 კვირა და არავის მოუკითხავს ჩვენი ჯანმრთელობა. შემდეგ მამა გახდა ავად, 2 დღის წინ დავრეკე სასწრაფოში და მითხრეს, დარჩით სახლში და უბნის ექიმი გამოიძახეთო. უბნის ექიმმა მითხრა, რომ ბინებზე არ დადიან. ამის შემდეგ გამოვიძახე ტაქსი, ჩავსვი მამაჩემი და უკან მოგვადგა ამ დროს სასწრაფო. ეს მოხდა 10 ზარის შემდეგ. კორონიან კაცს გამვლელებმაც მოჰკიდეს ხელი, როდესაც მეხმარებოდნენ მის ტაქსამდე მიყვანაში.

სასწრაფოს პირბადე არ ჰქონდა. მამა გადაიყვანეს სასწრაფოთი, მე კი მითხრეს, რომ სახლში დავრჩენილიყავი. აღმოჩნდა, რომ მეც დაინფიცირებული დავბრუნდი სახლში. მეორე დღესაც არავის დაურეკავს. დავუკავშირდი თავად და მითხრეს, რომ მამაჩემს აქვს კორონა. დავუკავშირდი სასწრაფოს და ვთხოვე ტესტის გაკეთება, მაგრამ მითხრეს, რომ ისინი არ ატარებდნენ.

ინფექციურშიც დავრეკე. სასწრაფომ მითხრა, სახლში დარჩით და არ ინერვიულოთ, სიმპტომები არ გაქვთო. საკმაოდ ბევრ ადამიანთან მქონდა კონტაქტი ქუჩაში. არავინ მოსულა და მოვუკითხივარ, – განაცხადა „ფორმულასთან" ქალმა.

მისი თქმით, მამა რეანიმაციულ განყოფილებაშია და მდგომარეობა მძიმეა, თავად მას და მის დას კი, კოვიდ-19-თან ერთად, ფილტვების ანთებაც აქვთ.

# გაგრაში კომენდანტის საათი გამოცხადდა

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი ბგანბამ ხელი მოაწერა განკარგულებას გაგრაში „კომენდანტის საათის" შემოღების შესახებ.

განკარგულების მიხედვით, კომენდანტის საათი იმოქმედებს 20:00 საათიდან დილის 7:00 საათამდე. ამ პერიოდის განმავლობაში იკრძალება ქუჩაში და საცხოვრებლის გარეთ ყოფნა.

კომენდანტის საათი შემოღებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

7 აპრილს ოკუპირებულ აფხაზეთში კორონავირუსით დაინფიცირების პირველი შემთხვევა გამოვლინდა. კოვიდინფექცია დაუდასტურდა 29 მარტს მოსკოვიდან დაბრუნებულ პირს.

მისი ჰოსპიტალიზაცია 6 აპრილს გუდაუთის საავადმყოფოში მოხდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მოსამართლე მაღლაკელიძეს ოქრუაშვილის ციხეში დატოვება დაევალა“

## გურამ ჩალაგაშვილი: „არჩევნები წელს აუცილებლად ჩატარდება“

ნონა ცაბაძე

**კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესები დისტანციურად იმართება. გამონაკლისია თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის პროცესები, რომლებიც ყოველდღე იმართება და მოსამართლემ პატიმრები სასამართლოზეც გამოიძახა.**
**„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო გურამ, ირაკლი ოქრუაშვილის პროცესი დაჩქარებული წესით იმართება. ამაზე რას იტყვით?***

– მე მგონი, ყველას გვახსოვს იუსტიციის მინისტრის განცხადება, რომ პროცესები გაიმართება დისტანციურად. მიუხედავად ამ განცხადებისა, ირაკლი ოქრუაშვილი მოიყვანეს სასამართლო პროცესზე და ასევე მოიყვანეს მიქაძე და დონაძე.

***– დისტანციურად რატომ არ გაიმართა?***

– ვერ გეტყვით. როგორც ჩანს, მოსამართლემ გადაწყვიტა, ასე ჩატარდეს პროცესი და ირაკლიც და ორი მოწმეც სასამართლოში გამოიძახეს. ასევე 13 აპრილს, როდესაც ადვოკატს ვადა განუსაზღვრა მოსამართლე მაღლაკელიძემ, სხდომაზე ადვოკატმა საბოლოო, შემაჯამებელი სიტყვა უნდა თქვას. მოსამართლემ იქვე დაურთო, თუ ვერ მოხვალთ, განაჩენს თქვენი ბოლო სიტყვის გარეშე მაინც დავაყენებო.

***– 13-ში გამოუტანენ განაჩენს?***

– დიახ, აპირებენ, რომ 13-ში გამოუცხადონ. როდესაც ასეთი დაჩქარებით მიდის, როდესაც ასეთი აგრესიულია მოსამართლის ტონი, ეს ცხადყოფს იმას, რომ უპირებს, გამოუტანოს გამამტყუნებელი განაჩენი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.

***– ასე რატომ ფიქრობთ?***

– თავიდან, როდესაც ამ მოსამართლეს დაეწერა ეს საქმე, დარწმუნებული ვარ, მას დაევალა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი უნდა დატოვოს ციხეში.



***– ბატონო გურამ, როდესაც შედგა შეთანხმება ელჩების თანდასწრებით, მაშინ იყო მოთხოვნა, რომ პოლიტიკური ნიშნით დაკავებულები უნდა გაეთავისუფლებინათ. დასახელებული იყო კონკრეტული გვარები და მათ შორის ოქრუაშვილისაც. ამ პირობას დაარღვევს ხელისუფლება? იცვლება სიტუაცია?***

– ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, იცვლება თუ არა სიტუაცია. ჯერ კიდევ არის დრო და, მინდა მჯეროდეს, რომ მაშინ გაკეთებული განცხადებები ხელისუფლების მხრიდან შესრულდება.

***– ანუ იმედი გაქვთ, რომ ოქრუაშვილს გამოუშვებენ?***

– მინდა მჯეროდეს, რომ ხელისუფლება ამ პოზიტიურ ნაბიჯს გადადგამს. თუკი პირობას არ შეასრულებს, ეს იქნება კიდევ ერთი არასწორი და უგუნური ნაბიჯი, რის შედეგადაც ხელისუფლება ვერ მიიღებს იმ საჭირო 27 ხმას, რომელიც აქვს ოპოზიციას პარლამენტში.

ასევე ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან მოტყუებული დარჩებიან, როგორც ჩვენი დასავლელი პარტნიორები, ასევე – საქართველოს მოსახლეობა.

***– იქნებ იმიტომ აჩქარებენ პროცესს, რომ მის გამოშვებას აპირებენ? ამ ვარიანტს არ განიხილავთ?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ოცნება“ ცდილობს, გამყრელიძის, ცერცვაძისა და იმნაძის ავტორიტეტი პიარისთვის გამოიყენოს“

## კორნელი კაკაჩია: „ხელისუფლებაც და ოპოზიციის ნაწილიც ეკლესიასთან პოლემიკას ერიდება, რადგან იციან, რომ არჩევნებზე ბუმერანგივით დაუბრუნდებათ“

იაგო ნაცვლიშვილი

**მსოფლიოში კორონავირუსის შედეგად გამოწვეულ კრიზისს ებრძვიან. ასეთი ვითარებაა საქართველოშიც, რომელიც კრიზისს ამ ეტაპზე კარგად უმკლავდება. ამის პარალელურად ჩანს, რომ „ქართული ოცნება“ ნელ-ნელა წინასაარჩევნო კამპანიაში ერთვება და მოწინავე ექიმების ავტორიტეტს პიარისთვის იყენებს. გარდა ამისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით ვერ ატარებს ხისტ პოლიტიკას ეკლესიასთან მიმართებით, ვინაიდან არჩევნებზე მისი მხარდაჭერა დასჭირდება. დაიწყო თუ არა მმართველმა გუნდმა წინასაარჩევნო პიარზე მუშაობა და რაზეა დამოკიდებული მოპოვებული რეიტინგის შენარჩუნება? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი, პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია საუბრობს.**

***– მიმდინარე მოვლენებს ცოტა პოლიტიკურ ჭრილში რომ შევხედოთ, ხომ არ დაინახეთ, რომ „ქართული ოცნება“, კრიზისის პარალელურად, წინასაარჩევნო პიარზეც მუშაობს?***

– კრიზისის ფონზე საკმაოდ ხელსაყრელი ვითარებაა „ქართული ოცნებისთვის“ საიმისოდ, რომ ამ მიმართულებით აქტივობა დაიწყოს, იქიდან გამომდინარე, რომ მთელ მსოფლიოში ხდება



ე.წ. ერთი დროშის გარშემო გაერთიანება. ასე უწოდებენ ამ ფენომენს და ამიტომ საკმაოდ ხელსაყრელი ვითარებაა „ქართული ოცნებისათვის“.

ოპოზიციამაც შეარბილა კრიტიკა „ქართული ოცნების“ მისამართით, ვინაიდან საერთო კრიზისია და ყველა ცდილობს, კონსოლიდაცია მოახდინოს. ბუნებრივია, ეს ხელს უწყობს მის წარმოჩენას და ეს არის უნიკალური შანსი იმისათვის, რომ წარმოჩნდნენ ლიდერები, რადგანაც „ქართული ოცნების“ მმართველობისას ისინი ჩრდილში იყვნენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მოხდება პოსტკრიზისულ პერიოდში და ყველაზე მთავარია, როგორ მოახერხებს ხელისუფლება მოპოვებული რეიტინგის შენარჩუნებას.

***– დღეს წინა პლანზე საკმაოდ სოლიდური ასაკის სამეულია წამოწეული – გამყრელიძე, იმნაძე და ცერცვაძე. იმასაც ხომ არ ხედავთ, რომ პიარის პროცესში ამ ადამიანების ავტორიტეტი ჩართოს საკუთარი გუნდის წარმატების წარმოსაჩენად?***

– რა თქმა უნდა. ამას ცდილობენ და ეს ცუდიც არ არის. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, იქ ხელისუფლებებმა ვერ დათმეს ეს ინსტრუმენტი. ჩვენთან არის არაფორმალური მმართველობა და რისკები ძალიან დიდი იყო. დღეს ეს ადამიანები არიან მთავრობის სახელით სპიკერები ვირუსის მართვის თვალსაზრისით და ეს, პრინციპში, კარგია. რეალურად ამ კრიზისის მმართველები ისინი არიან.

ამით მოხდა ისიც, რომ თუ რამე სერიოზული შეცდომა მოხდებოდა, ეს აირიდა „ქართულმა ოცნებამ“ და პირდაპირი დარტყმა არ აიღო საკუთარ თავზე, მეხამრიდის როლს მაინც ეს ადამიანები შეასრულებენ. მეორე მხარეა ის, რომ ჩანს, ხელისუფლება ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს და ამით მოვახერხეთ სხვა ქვეყნებთან შედარებით ამ კრიზისთან უკეთესად გამკლავება.

***– ის კამპანია რამდენად გამართლებულია, რომ აი, როგორი მაგარი კრიზისმენეჯერია გახარია?***

– ამას „ქართული ოცნება“ დიდი ხანია მიმართავს. თავის დროზე იმავეს აკეთებდნენ კვირიკაშვილთან დაკავშირებით. ახლა უნდათ, გაავრცელონ მოსაზრება, რომ გახარია შეუცვლელია, მაგრამ მას ბევრი რამე აქვს დასამტკიცებელი. არ უნდა დაგვავიწყდეს გახარიასთან დაკავშირებული 20 ივნისის საკითხები. აქედან გამომდინარე „ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხებით საზრდოობდეს საზოგადოება, რათა გადაფარონ ის ნეგატივი, რომელიც გახარიას აქვს ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, ვინაიდან არჩევნების დროს, შესაძლოა, გახარია იყოს კამპანიის ლიდერი.

***– გამოჩნდა, რომ ეკლესია გავლენას ახდენს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. ეს საარჩევნო წლით ხომ არ არის განპირობებული, რომ რაღაცნაირად ეშინიათ თუ ანგარიშს უწევენ მღვდელმთავრებს?***

– არა მარტო ხელისუფლებაზე, არამედ ოპოზიციაზეც და, პრინციპში, აქამდეც ვიცოდით ეს. ხელისუფლებაც და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიაც ერიდება ეკლესიასთან პოლემიკას, რადგან იციან, რომ ბუმერანგივით შეიძლება დაუბრუნდეთ საარჩევნო პერიოდში და, შესაძლოა, ეკლესიის მხარდაჭერა დაკარგონ.

***– თუმცა ოპოზიცია მაინც უფრო თამამია.***

– კი, მაგრამ ისინიც ვერ ბედავენ თამამად საკუთარი პოზიციის გამოხატვას. ბუნებრივია, ეს ესმის ხელისუფლებასაც და ცდილობს, ორაზროვანი ფრაზებით ისაუბროს და მასთან პოლემიკაში არ შევიდეს.

ასევე არ დაგვავიწყდეს, რომ „ქართული ოცნების“ მომხრეთა საკმაოდ დიდი ნაწილი სოციალ-კონსერვატიული მიმდინარეობის ამომრჩეველია. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ მათი განაწყენება ნამდვილად არ წაადგება.

# ბექა ნაცვლიშვილი: „ბანკების ზემოგებებზე გასვლა უნდა დასრულდეს“

## პირბადე თუ 50 თეთრი ეღირება, ძვირია

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო ბექა, მთავრობას ეკონომიკური გეგმა ჯერ არ წარმოუდგენია. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რატომ? როგორი უნდა იყოს ხელისუფლების ეკონომიკური გათვლები?***

– იმედი მაქვს, ხელისუფლება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პასუხის მოლოდინშია – რამხელა იქნება როგორც გრანტი, ისე ზოგადად ფინანსური დახმარება, ვალის აღების შესაძლებლობა და ამის შემდეგ სრულფასოვნად იქნება წარმოდგენილი ხელისუფლების ეკონომიკური გეგმა. ალბათ ამას ელოდებიან.

***– რა მიმართულებების სუბსიდირება უნდა მოხდეს?***

– პირველ რიგში, ქვეყანაში სოციალური ფონი არ უნდა დამძიმდეს. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა ძალიან გვჭირდება. შესაბამისად, ადამიანებმა, რომლებმაც სამუშაო ადგილები დაკარგეს, იქნება ეს ტურიზმის სექტორის მიმართულებით, რომელიც კარგა ხანს ვერ აღდგება თუ სარესტორნო ბიზნესის კუთხით, მათი კომპენსაცია უნდა მოხდეს.

მეორე, ხელისუფლებამ ზოგადად ეკონომიკის განვითარებისთვის უნდა დაიწყოს ფიქრი, რომელიც სახელმწიფოს სუბსიდირების გარეშე არ გამოვა. პირველ რიგში, მე მაინც ყველაზე აუცილებელი სოფლის მეურნეობის სუბისიდირება მგონია. ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების სერიოზული უზრუნველყოფა უნდა მოხდეს.

***– მთავრობას ხორბლის მარაგებთან დაკავშირებით ალბათ გარკვეული ნაბიჯები ექნება გადასადგმელი, რადგან რუსეთმა ამ ბაზრის ჩაკეტვაზე უკვე გააკეთა განცხადება.***

– დიახ, ამიტომ ვამბობ, რომ პირველ რიგში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა საჭირო. ხორბალს მხოლოდ 5%-ს ვაწარმოებთ. ეს დაუშვებელია. ხორბლის წარმოება სერიოზულად უნდა გავზარდოთ. არ ვიცით, ეს კრიზისი რამდენ ხანს გაგრძელდება და რა მასშტაბებს მიაღწევს. სოფლის მეურნეობა ხომ არ არის სათამაშოების წარმოება, სეზონური სამუშაოებია ჩასატარებელი. თუ სამუშაოები გაზაფხულზე არ ვაწარმოეთ, შემოდგომაზე მოსავალი არ გვექნება. ამაზე აქამდეც უნდა გვეფიქრა, მაგრამ ახლა უკვე იძულებული ვართ, სერიოზულად ვიფიქროთ.

პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსებმა, საზოგადოებამ, ყველამ ერთად ხელისუფლება იმ დასკვნამდე უნდა მივიყვანოთ, რომ ეს ნაბიჯები აუცილებლად გადადგას.

ჩვენ უნდა გადავიდეთ წარმოებაზე. უნდა გავბედოთ და მომხმარებელი ქვეყნიდან მწარმოებელ ქვეყნად ვიქცეთ. ამისთვის სახელმწიფოს პირდაპირი მხარდაჭერა იქნება საჭირო. ბანკებისა და ამხელა პროცენტების წინაშე როდესაც მარტო აღმოჩნდები, ვერანაირ ბიზნესს ვერ აწარმოებ, ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს სუბისიდირება. განვითარების სახელმწიფო ბანკი იქნება შესაქმნელი. იქ, სადაც წარმოების პოტენციალი გაგვაჩნია, ამ დარგების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს და ადგილობრივი წარმოება უნდა დავიწყოთ. ამაზე სერიოზულად უნდა იფიქროს სახელმწიფომ. ამ მიმართულებით გონივრული ნაბიჯებია გადასადგმელი.

სახელმწიფომ უნდა მართოს პროცესები. მან პროცესებს გარედან, როგორც ნეიტრალურმა დამკვირვებელმა კი არ უნდა ადევნოს თვალყური, არამედ თავად მართოს. ბანკები ზემოგებებზე რომ გადიან, ეს უნდა დასრულდეს. ამ დროს ისინი იხდიან ზუსტად იმდენ გადასახადს, რამდენსაც – დამწყები კომპანია.

***– ადგილობრივი წარმოების პირბადეები აფთიაქებში 50 თეთრი ეღირება. დაახლოებით 400 ათასია წარმოებული. ხელისუფლება საფასო პოლიტიკას გააკონტროლებს.***

– მე მაინც ვფიქრობ, ძალიან ძვირია.

***– ძვირია?***

– დიახ, ძვირია, თუ ერთჯერადი გამოყენებისაა და 1-2 საათის შემდეგ გადასაგდებია. სოციალურად დაუცველი ფენების სუბისიდირება უნდა მოხდეს.



***– სახელმწიფოს საფთიაქო ბიზნესის გარკვეული კონტროლი რამდენად შეუძლია?***

– ყველაფრის კონტროლი შეუძლია, თუ მოინდომებს. შეუძლია ზღვრული ფასების დაწესება იმ მედიკამენტებზე, რომლებზეც ყველაზე დიდი მოთხოვნაა. ნაკლებად უნდა გაიზიაროს მსხვილი ბიზნესის ინტერესები. ეს ნაბიჯი უნდა გადადგას. ნებისმიერი ხელისუფლება, პირველ რიგში, მოქალაქეების ინტერესებიდან უნდა გამოვიდეს.

# დავით ლორთქიფანიძე: „მოსახლეობის ნაწილი კორონავირუსს არასერიოზულად უყურებს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.**



***– ბატონო დავით, ხომ არ იცით, რა ვითარებაა ვანში?***

– ვიცი, რაც ხდება. ძალიან ცუდია, რომ ვანში დაფიქსირდა ადამიანის ვირუსით დაავადების ფაქტი. ჯერჯერობით ერთი ფაქტია გამოვლენილი. იქნებ მეტი გამოვლინება არ იყოს. ოჯახის წევრები უკვე გადაიყვანეს შესამოწმებლად. მათი ინფორმაციით, არსებობს დადასტურებული კონტაქტები.

როგორც ამბობენ, არც სიმპტომები არ ჰქონდათ და წინასწარ ვერ გაფრთხილდებოდნენ, მაგრამ, ისე არ არის, რომ კონტაქტები არ ჰქონოდათ. მისი მეუღლე ქალაქში მაღაზიის მფლობელია. საკმაოდ ბევრ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა.

ქალბატონიც, რომელსაც კორონა დაუდასტურდა, მოძრაობდა სავაჭრო ცენტრებში, აფთიაქში, მათ შორის, საავადმყოფოშიც არის ნამყოფი ყურის ტკივილის ნიშნებით. ამ შემთხვევაში მე არ ვამბობ, რომ ყურის ტკივილი ვირუსით დაავადების სინდრომია. ასეთი რამ არ თქმულა და მეც ვერ ვიტყვი, მაგრამ კლინიკაში ექიმთან იმყოფებოდა და მრავლობითი კონტაქტები არსებობს.

ვანი პატარა რაიონია, ქალაქის რაიონული ცენტრიც და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ერთმანეთს იცნობს, კომუნიკაბელურები არიან და დღის განმავლობაში ადამიანებს რამდენიმე კონტაქტი ჰქონდათ ერთმანეთთან. ამიტომ ეს ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ზომების მიღებას გამოიწვევს.

ფაქტობრივად, განსაკუთრებული ზომების მიღების პროცესი დაწყებულია. სოფელ ზეინდარსა და სოფელ მთისძირში მისასვლელი გზები უკვე გადაიკეტა. სამხედროები და პოლიციის თანამშრომლები ყველა შემსვლელსა და გამომსვლელს ამოწმებენ, ტარდება თერმოსკრინინგი.

ასე რომ, ვანის მუნიციპალიტეტიც დაემატა იმ 9 ქალაქის ჩამონათვალს, რომელთა შესასვლელში ხდება ყველა გადაადგილებული პირის თერმოსკრინინგი.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ არ ფრთხილობენ ადამიანები და რატომ არ ასრულებენ იმ მითითებებს, რომლებსაც ექიმთა ჯგუფი, დაავადებათა კონტროლის ცენტრი იძლევა?***

– სამწუხაროდ, ვფიქრობ, ადამიანების თვითშეგნება სათანადო სიმაღლეზე არ არის. ადამიანებს აქვთ განცდა, რომ ეს დაავადება მათთან არ მივა. არ ვიცი, რატომ აქვთ ასეთი განცდა. რამდენიმე დღის წინ ამასთან დაკავშირებით ფეისბუქგვერდზე პოსტიც დავდე, მოქალაქეებს მოვუწოდე, დაიცვან მითითებები. განსაკუთრებით ვანელებზე გავამახვილე ყურადღება. არ მომეწონა ამ პრობლემისადმი ადამიანების მიდგომა. ცოტა ინდიფერენტულად არიან განწყობილი.

***– როცა ვანში იმყოფებოდით, იქ დაინახეთ ვირუსის გავრცელებისადმი ადამიანების ინდიფერენტულობა?***

– დიახ. ისინი ინდიფერენტულად უყურებენ ამ პროცესს. რა თქმა უნდა, მათი დამოკიდებულება არ მომეწონა. ამასთან დაკავშირებით პირად საუბრებში, ადგილზე ურთიერთობებში და სოციალური ქსელებითაც არაერთხელ მივმართე, რომ ამ დროს ყველამ უნდა გამოვიჩინოთ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, ვიაქტიუროთ და ყველა საშუალებით გავაგებინოთ, რა უნდა გააკეთონ.

მაგალითად, მე ამ დღეებში ისეთ ადამიანებს დავურეკე, რომლებისთვისაც წლებია, არ დამირეკავს და შეიძლება, სხვა შემთხვევაში არც დამერეკა. მათი ტელეფონის ნომრები მაქვს. ოდესღაც ჩემთვის დაურეკავთ რაღაც თემაზე. ტელეფონის ნომრები შენახული მაქვს. ასეთებს დავურეკე და ვუთხარი, იქნებ ამ ვითარებაში მაქსიმალურად დაიცვან თავი. არ დაგიმალავთ, ყველას ძალიან გაუკვირდა, მე რატომ ვურეკავდი.

წარმოიდგინეთ, ექიმი რომ არ ვარ, იციან. ჩავთვალე, რომ სადამდეც მიმიწვდება ხელი, ყველასთვის უნდა შემეხსენებინა. მით უფრო, ადამიანებმა, რომლებსაც რაიონში, ქალაქსა და ამ ქვეყანაში ავტორიტეტი აქვთ, ეს ნაბიჯი უნდა გადადგან. მხოლოდ ტელევიზიით განცხადების გაკეთება საკმარისი შეიძლება არ იყოს. ამიტომ მსგავსი კომუნიკაციით შესაძლებელია, ადამიანები მობილიზებულები გახდნენ.

# ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობაში პანიკა იზრდება

## რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები ფსოუზე გადმოსვლას აგრძელებენ

მარიამ მჭედლიშვილი

**7 აპრილის შემდეგ ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობაში პანიკა იზრდება. სწორედ ამ დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურდა კოვიდინფექციით დაავადების პირველი შემთხვევა.**

**მართალია, აფხაზეთის მკვიდრს, გალელ ქალს, ახალი კორონავირუსი მანამდე გამოუვლინდა, მაგრამ ეს ენგურგამოღმა, ზუგდიდში მოხდა. გალელი დაინფიცირებული ისევ იქ მკურნალობს. აფხაზეთში 7 აპრილამდე კმაყოფილებით აცხადებდნენ, რომ არც ერთი დაინფიცირებული არ ჰყავთ.**

ვირუსი გაგრაში დაადასტურეს. ავადმყოფი გუდაუთის საავადმყოფოშია გადაყვანილი. იგი გაგრაში რვასართულიან კორპუსში ცხოვრობს. სახლი მკაცრ კარანტინზე გადაიყვანეს. შემოწმდა მისი კონტაქტები. აღმოჩნდა, რომ პაციენტი, რომლის ვინაობა არ ხმაურდება, აფხაზეთში ფსოუს გავლით 29 მარტს მოსკოვიდან ჩამოვიდა. ის რუსეთში მივლინებით იმყოფებოდა. იგი შინ თვითიზოლაციის რეჟიმში იმყოფებოდა, შემდეგ კი თავი ძალიან ცუდად იგრძნო და ექიმებს მიაკითხა.

ამ შემთხვევამ აფხაზეთში დიდი მღელვარება გამოიწვია. დაინფიცირებულის მისამართით წყევლა-კრულვა და ქსენოფობიური გამონათქვამებიც გაისმა. აფხაზების ნაწილი ამას გმობს. ადამიანები ამბობენ, რომ ეს ინფექცია მხოლოდ სომხებს (როგორც ჩანს, ინფიცირებული სომეხია) არ ხვდებათ. ის, შეიძლება, აფხაზებსაც შეეყაროთ. აფხაზური კოდექსის მიმდევრები თანამოძმეებს მოუწოდებენ, დაიცვან „აფსუარა“ და პატივი სცენ სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს.

გაგრაში კორდონები და პატრულირება გაძლიერდა.

მოქალაქეები კი საყვედურს რუსეთის მისამართითაც ამბობენ. მათი აზრით, რუსეთში აფხაზეთის მოქალაქე, მით უმეტეს, დაინფიცირებული, არ სჭირდებათ. ამიტომ ეს ადამიანი სამშობლოში ჩამოვიდა, სადაც მას უმკურნალებდნენ. გავრცელებული მითქმა-მოთქმით, გაგრელ ინფიცირებულს კორონავირუსი თავდაპირველად რუსეთში დაუდგინდა, აფხაზეთში კი ხელახალი ტესტირებით დაუდასტურდა.

ოკუპირებული რეგიონის ხელისუფლება აპირებს, ხალხის გარკვეული კატეგორია სპეციალურ კარანტინებში განათავსოს. საამისოდ გამოიყო ობიექტები, მათ შორის, სასტუმროები.



ფსოუზე არააფხაზეთის მოქალაქეების შემოსვლა 28 მარტიდან აიკრძალა. 25 მარტიდან საზღვარი 838-მა ადამიანმა გადმოკვეთა. „სასაზღვრო“ განკარგულებაში დამატებები შედის. ოკუპირებულ რეგიონში ჩვეულებრივად აგრძელებენ შემოსვლას რუსეთის სამხედროები. მათ თავისიანები იქვე ხვდებიან და დისლოკაციის ადგილზე მიჰყავთ. დამატებების თანახმად, საზღვრის გადმოლახვის უფლება, სამხედროების გარდა, რჩებათ ასევე დიპლომატებს.

სხვა კატეგორიის მოქალაქეებს ფსოუზე არ უშვებენ.

ენგურზე მიმოსვლა (უიშვიათესი შემთხვევების გარდა) აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღებამდე აიკრძალა. საოკუპაციო ხაზზე დარღვევის აღმოფხვრის მიზნით გალის რაიონის ტერიტორიაზე ღამით შემოღებულია კომენდანტის საათი.

საზოგადოება სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოთქვამს საოკუპაციო რეჟიმის მიერ მიღებული ზომების გამო.

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ იმ დროს, როცა ხალხი სახლებში ჩაიკეტა და იზოლაციის წესებს ემორჩილება, ხელისუფლება ნორმალურად არ აკონტროლებს საზღვარს და არ იცავს საკუთარ მოსახლეობას. მათი თქმით, რუსეთის მოქალაქეები ფსოუდან მაინც შემოდიან.

უკმაყოფილება იზრდება კერძო სექტორში, რომელიც გაჩერდა. სოხუმის ბაზარი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე დაიხურა, თუმცა მოვაჭრეებმა ჩაკეტილი ბაზრის მიმდებარე ტერიტორია აითვისეს, სადაც ვაჭრობა მიმდინარეობს.

# საქართველოში, შესაძლოა, ულტრაიისფერი მრავალჯერადი ნიღბების წარმოება დაიწყოს



საქართველოში, შესაძლოა, ულტრაიისფერი მრავალჯერადი ნიღბების წარმოება დაიწყოს.

ამის შესახებ სამედიცინო ველნეს კურორტ „ბიოლის“ დამფუძნებელმა თამაზ მჭედლიძემ რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

მისივე თქმით, უახლოეს დღეებში საწარმოო ნიმუში და პირველი პარტია უკვე მზად იქნება.

– როდესაც კორონავირუსთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეშინია/კლავს ულტრაიისფერი დასხივება, გაჩნდა მრავალჯერადი, ულტრაიისფერი ნიღბების გაკეთების იდეა. როდესაც საქართველოში ვეცნობოდით პატენტთან დაკავშირებით ინფორმაციას, აღმოჩნდა, რომ უკრაინაში ბევრად უფრო სწრაფად შემოგვთავაზეს ამ ყველაფრის გაკეთება, ამიტომ იდეის განხორციელება სწორედ იქ მოგვიხდა.

ნიღბების გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს. ფაქტობრივად, უახლოეს დღეებში საწარმოო ნიმუშები და პირველი პარტია უკვე მზად იქნება. ამასთან, ვმუშაობთ იმაზეც, რომ ეს წარმოება საქართველოშიც იყოს. ვარჩევთ დანადგარებს და ა.შ. ნიღბის მთავარი ელემენტი არის დიოდები, ერთ ნიღაბს 2 დიოდი სჭირდება და ამ ეტაპზე 2.500 ნიღბის დამზადება შეგვიძლია, – განაცხადა მჭედლიძემ.

# რა შემთხვევაში ინიშნება პრეპარატი „პლაქველინი“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორ ლევან რატიანის განცხადებით, პრეპარატი „პლაქველინი“ პაციენტების კლინიკური სურათის მიხედვით ინიშნება.



როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ეტაპზე პრეპარატის გამოყენების კლინიკური შედეგი სახეზეა.

– რაც შეეხება პლაქველინოთერაპიას, მოგეხსენებათ, სახელმწიფო პროტოკოლში, რომლის ერთ-ერთი ავტორი მეც გახლავართ ბატონ თენგიზთან (თენგიზ ცერცვაძე) ერთად, ჩადებული გვაქვს „პლაქველინის“ თერაპია. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პაციენტებთან, რომლებთანაც ვფიქრობთ, რომ კლინიკურად უნდა დავნიშნოთ, „პლაქველინი“ ინიშნება.

რაც შეეხება შედეგს, კლინიკური შედეგი ამ ეტაპზე სახეზე გვაქვს. მას თავისი კლინიკური ჩვენება გააჩნია, რომელ დღეს, რომელ სტადიაზე, რა დოზით და რა ხანგრძლივობით უნდა მივიღოთ. მოგეხსენებათ, ერთი თვეც კი არ არის, რაც ჩვენმა კლინიკამ COVID19-ის ინფექციასთან ბრძოლა დაიწყო და ეს სტანდარტული თერაპია დაწყებული გვაქვს. სტატისტიკა გადაგზავნილი გვაქვს. რამდენიმე დღეში პასუხს ველოდებით და ზუსტ ინფორმაციას მოგაწვდით, – განაცხადა რატიანმა.

მისი თქმით, იანვარში კლინიკამ „პლაქველინი“ მარაგის სახით შემოიტანა.

– პირადად მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს კლინიკაზე ვაგებ პასუხს. რადგანაც პანდემია გამოცხადდა, იცით, რომ 31 დეკემბერს პირველად აღმოაჩინეს და ამის შემდეგ თვალყურს ვადევნებდით ინფექციასთან ბრძოლას. იანვარში ჩვენმა კლინიკამ „პლაქველინი“ მარაგის სახით შემოიტანა, – აცხადებს რატიანი.

# „მოსამართლე მაღლაკელიძეს ოქრუაშვილის ციხეში დატოვება დაევალა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ყველაფრის განხილვა შეიძლება, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მოსამართლის ტონი, მისი დამოკიდებულება არ მაძლევს ამის ფიქრის საშუალებას. თუ მოსამართლე აპირებს პოზიტიური გადაწყვეტილების გამოტანას, უნდა გამოიტანოს, რადგან მას არანაირი მტკიცებულება არა აქვს. ერთი ადამიანიც კი ვერ იქნა დაკითხული და მოყვანილი ბრალდების მხარის მიერ, რომელსაც შეიძლებოდა ეთქვა, რომ 20 ივნისის ღამეს ოქრუაშვილმა დანაშაული ჩაიდინა, ვინმეს მოუწოდებდა პარლამენტში შეჭრისკენ ან რამე მსგავსი.

***– ასევე გვესმის სხვაგვარი შეფასებებიც, თუნდაც ის, რომ დღეს მთელ მსოფლიოში მძვინვარებს კორონავირუსი და საქართველოს ხელისუფლების შეთანხმებებისთვის აღარავის სცხელა. ამიტომ ხელისუფლება იმოქმედებს ისე, როგორც მოესურვება. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ჩვენი ექიმები ამბობენ, რომ დაახლოებით კიდევ სამი-ოთხი კვირა და სადღაც 10 ივნისისთვის უკვე კლებისკენ წავა, ეს პანდემია მთლიანად გადავლილი უნდა იყოს და ქვეყანა უნდა დაუბრუნდეს ცხოვრების ნორმალურ რიტმს.

10 ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე საკმაოდ დიდი დროა და, არა მგონია, ხელისუფლებას მუდმივად ჰქონდეს იმედი, რომ კორონავირუსი უშველის. ვერანაირად ვერ უშველის, იმიტომ, რომ უფრო დიდი გამოწვევები იქნება მის წინაშე და ეს არის ეკონომიკური კრიზისი.

ასე რომ, არა მგონია, ხელისუფლებას გინდ დღეს და გინდ ერთი თვის შემდეგ ჰქონდეს იმის ფუფუნება, რომ შეთანხმებები დაივიწყოს და დასავლეთი კიდევ ერთხელ გაანაწყენოს.

***– ანუ მოუწევთ ამ პირების ციხიდან გამოშვება?***

– თუ ერთ ადამიანს მაინც აქვს საღად აზროვნების საშუალება ამ ქვეყანაში, მაშინ გამოუშვებენ, სხვა შემთხვევაში ეს ძალიან წამგებიანი იქნება ამ ხელისუფლებისთვის და არავითარ შემთხვევაში მის წისქვილზე წყალს არ დაასხამს.

***– ასევე განიხილება არჩევნების გადადების საკითხიც. ამაზე რას ფიქრობთ?***

– არჩევნების გადადების აუცილებლობას დღეს ვერავინ ვხედავთ. თუ საგანგებო მდგომარეობა 21 მაისამდე გაგრძელდება, ეს ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად, მაქსიმუმ იმავე ვადით შეიძლება გადაიდოს არჩევნები. ამას კონსტიტუცია არეგულირებს და, თუ ხელისუფლება რამეს ძალით არ მოინდომებს, მიმდინარე წლის ბოლომდე არჩევნები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს.

# ლერმონტოვზე ავარიული შენობა ჩამოინგრა

## 3 მუშა დაშავდა

გუშინ, 8 აპრილს, ლერმონტოვის ქუჩაზე ავარიული შენობის დემონტაჟის დროს ნანგრევებში სამი მუშა მოყვა.

ადგილზე პოლიცია, სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურები მუშაობდნენ.

მოგვიანებით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განცხადება გაავრცელა.

უწყების ცნობით, ნანგრევებში მოყოლილი მუშები მეხანძრე-მაშველებმა მალევე ამოიყვანეს.

„საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩაზე, შენობის კედელი ჩამოინგრა და ნანგრევებში ადამიანები მოყვნენ.




შემთხვევის ადგილზე უმოკლეს დროში გამოცხადდა სახანძრო-სამაშველო ჯგუფი. მეხანძრე-მაშველების ინფორმაციით, ავარიული შენობის დემონტაჟის დროს ერთ-ერთი კედელი ჩამოინგრა და სამი მუშა მოიყოლა.

მეხანძრე-მაშველებმა ისინი ნანგრევებიდან მალევე ამოიყვანეს. სამივე მათგანი კონტაქტურია და მსუბუქად არიან დაშავებული.

მუშებს პირველადი დახმარება უკვე აღმოუჩინეს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმებმა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

3 მუშიდან 2 კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსშია“ მოთავსებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კლინიკაში განუცხადეს, პაციენტების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

– ჩვენთან ამ შემთხვევის შედეგად დაშავებული 2 მუშაა შემოყვანილი. მათ ჩაუტარდათ გამოკვლევები და შემიძლია გითხრათ, რომ მათი ზოგადი მდგომარეობა არის სტაბილური, – განაცხადეს კლინიკაში.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილითაა დაწყებული, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

# 5 და 7 წლის გოგონების მიმართ გარყვნილი ქმედებისთვის დ.ძ.–ს 9 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ ორი არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებისთვის მამაკაცს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორი არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებისთვის ბრალდებული დ.ძ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული გარყვნილი ქმედებისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა დ.ძ.-მ 2019 წლის 27 ივლისს თბილისში 5 და 7 წლის გოგონების მიმართ განახორციელა გარყვნილი ქმედება.

სამართალდამცველებმა დ.ძ. 2019 წლის 29 ივლისს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

არასრულწლოვანი დაზარალებულების მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა.

როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე არასრულწლოვანი დაზარალებულების დაკითხვა ფსიქოლოგის მონაწილეობით განხორციელდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დ.ძ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 158 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 158 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 7 აპრილის 21 საათიდან 8 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით 121 მოქალაქე დააჯარიმა.




გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 4 მოქალაქე დააჯარიმეს.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად თვითიზოლაციის წესების დარღვევის 2 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 31 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

# პოლიციამ ქვემო ქართლში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული ე.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.



დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული ე.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ მარნეულის მუნიციპალიტეტში ბრალდებულის საცხოვრებელ სახლსა და ეზოში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, კალაშნიკოვის სისტემის „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 20 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ავარია თბილისის სანაპიროზე

## 3 ადამიანი დაიღუპა, 1 დაშავდა



გუშინ, 8 აპრილს, თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაშავებულია კიდევ 1 პირი.

ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ვანის შესასვლელებში საკონტროლო გამშვები პუნქტები მოეწყო

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში კონტროლის გამკაცრების მიზნით ქალაქ ვანის შესასვლელებში საკონტროლო გამშვები პუნქტები მოეწყო.

მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, პირთა გადაადგილების კონტროლისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, 24 საათის განმავლობაში ადგილზე განახორციელებენ არსებული შეზღუდვების კონტროლს და ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებზე პირთა გადაადგილებასა და საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული პირობების შესრულებას უზრუნველყოფენ.

ასევე, ადგილზე მოხდება მოქალაქეთა პირველადი თერმოსკრინინგი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას საკარანტინო შეზღუდვებს განუმარტავენ და საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დაეხმარებიან.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.




# შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს ხომალდებს მასპინძლობს



ფოთის პორტში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) 4 ხომალდი შემოვიდა: ფლაგმანი ITS VIRGINIO FASAN (იტალია), HMCS FREDERICTON (კანადა), ROS REGINA MARIA (რუმინეთი) და BGS VERNI (ბულგარეთი). დაგეგმილ ერთობლივ წვრთნებში კი შენაერთის მეხუთე ხომალდიც TCG SALIHREIS (თურქეთი) ჩაერთვება.

შენაერთის ვიზიტი შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე ნატო-საქართველოს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია და წარმოადგენს ალიანსის მხრიდან საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის მორიგ დადასტურებას.

ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდები „ოჩამჩირე“ [P23] და „დიოსკურია“ [P25] და ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ხომალდები ერთობლივ წვრთნებს ჩაატარებენ. წვრთნების მიზანია ნატოსა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლება.

შენაერთის ვიზიტი საქართველოში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით ხორციელდება. ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, გაუქმებულია საჯარო და კულტურული ღონისძიებები. შეხვედრები გაიმართება დისტანციურად, ვიდეოკონფერენციის ფორმატში. ერთობლივი წვრთნები კი მოიცავს მხოლოდ ხომალდების მანევრებს ეკიპაჟების ურთიერთქმედების გარეშე.

ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ხომალდები საქართველოს ტერიტორიულ წყლებს 10 აპრილს, ერთობლივი წვრთნების ჩატარების შემდეგ დატოვებენ. ეს მიმდინარე წელს შენაერთის პირველი ვიზიტია საქართველოში. 2019 წლის განმავლობაში ნატოს ხომალდები საქართველოს პორტებს ორჯერ – აპრილსა და ოქტომბერში ესტუმრნენ.

# ევროპაში კოვიდ 19-ის შემთხვევები იკლებს



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეგიონულმა დირექტორმა ჰანს ჰენრი კლუჯემ ევროპაში კორონავირუსის გავრცელების თაობაზე ონლაინპრესკონფერენცია გამართა.

მისი თქმით, გარკვეულ ქვეყნებში ახალ შემთხვევათა რაოდენობა იკლებს, თუმცა აღნიშნული ქვეყნები კარანტინის მოხსნის საკითხს სიფრთხილით უნდა მოეკიდონ. მისივე თქმით, დადებითი დინამიკა შეინიშნება ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ესპანეთი, იტალია, გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, ჰოლანდია და დანია.

კლუჯემ გარდაცვლილთა სტატისტიკაზეც გაამახვილა ყურადღება.

მისი განცხადებით, ვირუსის გავრცელება ნაკლებია 15 წლამდე ბავშვებში, ხოლო ინფექცია განსაკუთრებით საშიში 60 წლის ასაკის ზევით პაციენტებშია.

– დაავადების ტვირთი განსაკუთრებით მძიმეა ხანშიშესული ადამიანებისთვის, განსაკუთრებით – მამაკაცებისთვის, რომლებსაც თანმხლები დაავადებებიც აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევათა უმეტესობა მსუბუქია, ინფიცირებულების დაახლოებით 40%-ის ჰოსპიტალიზაცია ხდება საჭირო, ხოლო 5%-ს ინტენსიური მკურნალობის განყოფილებები ესაჭიროება.

მათ შორის, ვინც დაიღუპა, ორი მესამედი მამაკაცია. გარდაცვლილთა 95% 60 წელს აღემატება. მათ უმეტესობას თანმდევი დაავადებები აღენიშნებოდა, მათ შორის გულსისხლძარღვთა დაავადებები 66%-ში, დიაბეტი – 29%-ში და თირკმლის პრობლემები – 16%-ში, – აღნიშნა კლუჯემ.

# ერდოღანი: „არ არსებობს ვირუსი, რომელიც ჩვენს ქვეყანაზე ძლიერია“



თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანის თქმით, მტერს ახლა არა სამხედრო, არამედ სამედიცინო არმია ებრძვის.

მისი თქმით, პანდემიასთან ბრძოლაში დაახლოებით ნახევარი მილიონი მედიცინის მუშაკია ჩართული.

– არ არსებობს ვირუსი, ეპიდემია, რომელიც ჩვენს ქვეყანაზე ძლიერია, – აღნიშნა ერდოღანმა მოსახლეობისადმი მიმართვის დროს.

მისივე თქმით, ეს თურქეთის ეროვნული ბრძოლაა.

თურქეთში 8 აპრილისთვის კორონავირუსის 34.109 შემთხვევა იყო დადასტურებული.

ვირუსს ქვეყანაში 725 ადამიანი ემსხვერპლა.

# კადიროვი მიშუსტინის წინააღმდეგ



რუსეთის პრემიერმა მიშუსტინმა მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი რეგიონული ლიდერი, რომელმაც თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა და საზღვრები ჩაკეტა.

ჩეჩნეთის ხელისუფლების ლიდერმა რამზან კადიროვმა ეს კრიტიკა თავის თავზე მიიღო.

– ბატონმა მიშუსტინმა მე მიგულისხმა, როცა უფლებამოსილების გადაჭარბებაზე საუბრობდა! ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება! მე ჩეჩნეთი რუსეთის გარეშე ვერ წარმომიდგენია, – თქვა კადიროვმა.

მან აღნიშნა, რომ კორონავირუსთან წარმატებით ბრძოლისთვის მკაცრი საკარანტინო რეჟიმია აუცილებელი. საზღვრების ჩაკეტვაც ამით არის განპირობებული.

– სხვაგვარად ინფიცირებულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა, – ამტკიცებს კადიროვი.

# ქარიშხალი ფიჯის კუნძულებზე



ფიჯის კუნძულებს თავს დაატყდა დამანგრეველი ტროპიკული ქარიშხალი „ჰაროლდი“, რომელსაც ყველაზე ძლიერი, მე-5 კატეგორია მიანიჭეს.

ქარიშხალმა რამდენიმე დღის წინ კუნძულოვან სახელმწიფო ვანუატუს გადაუარა, რასაც 27 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ბოლო დღეების განმავლობაში ფიჯის კუნძულებზე უხვმა ნალექმა მდინარეების ადიდება და დასახლებული პუნქტების დატბორვა გამოიწვია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# გამდიდრებულმა ცოლ-ქმარმა უპატრონო ძაღლების გადასარჩენად ათასობით კილომეტრი გაიარა



ინგლისის უილტშირის საგრაფოს მკვიდრმა ოჯახურმა წყვილმა, რომელმაც ლატარიაში მილიონიანი ჯეკპოტი მოხსნა, ათასობით კილომეტრიც გაიარეს 13 უპატრონო ძაღლის გადასარჩენად.

2015 წელს პიტ დოილმა და მისმა მეუღლე რუტმა ლატარიაში ევრომილიონი მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგეს. მიმდინარე წელს ცოლ-ქმარმა მანქანით 4,8 ათასი კილომეტრი გაიარეს იმისთვის, რომ რუმინეთში 13 უპატრონო ძაღლი გადაერჩინათ. წყვილმა გზაში 35 საათი გაატარა. შედეგად მათ ძაღლები დიდ ბრიტანეთში ჩაიყვანეს და იქ ძაღლები მსურველებს დაურიგეს.

– საკუთარი მგზავრობა თავადვე დავაფინანსეთ. ჩვენ პროდუქტები მოვიმარაგეთ და მინივენში ჩავჯექით, რომელიც საქველმოქმედო ფონდს ეკუთვნის, – განაცხადა 56 წლის რუტმა, – გზაში ძირითადად ყავას და რედ ბულსს მოვიხმარდით.

დოილებს რუმინეთში გამგზავრებაში ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ ისინი ლატარიაში გამარჯვების შემდეგ პენსიაზე გავიდნენ.

# 20 წლის წინ დაკარგული ბეჭედი მის პატრონს დაუბრუნდა



ინგლისის საფოლკის საგრაფოს სოფელ ოკოლდში განძის მაძიებელმა ლითონმაძიებლით იპოვა ნიშნობის ბეჭედი, რომელმაც მიწის სიღრმეში 20 წელი დაჰყო და ის მის მფლობელს დაუბრუნა.

50 წლის ტაირონ ჰოლმანი ლითონმაძიებლით ჩერჩ-ფარმში ჰალების ოჯახის კუთვნილ მამულში განძს ეძებდა. მან მიწაში მიაგნო ნიშნობის ოქროს ბეჭედს, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა წარწერა: „სიყვარულით, კრისტიანასგან“.

ჰოლმანმა ნაპოვნი ბეჭედი ფერმერ კრის ჰალს გადასცა. მასზე გაკეთებული წარწერით ფერმერი მიხვდა, რომ ბეჭედი სავარაუდოდ ყოფილ მეზობლებს ეკუთვნოდა, რომლებიც საცხოვრებლად ნორფოლკის საგრაფოს სოფელ გუდერსტონში გადავიდნენ.

ფერმერი ელექტრონული ფოსტით დაუკავშირდა 72 წლის კრისტიანა ჰიუსტონს და ჰკითხა, მისთვის რას ნიშნავდა ბეჭედზე ამოტვიფრული თარიღი – 9 სექტემბერი 1967 წელი. ქალმა უპასუხა, რომ ეს თავის 75 წლის მეუღლე ჯონთან დაქორწინების თარიღი იყო და რომელმაც ნიშნობის ბეჭედი 2000 წელს დაკარგა.

– ჩვენ მაშინ ძალიან დაგვწყდა გული, მაგრამ საბოლოოდ ამ ყოველივეს შევეგუეთ და ვერც ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ ის დაგვიბრუნდებოდა, – განაცხადა ჰიუსტონმა.

# პატარძალი ცოლად გაჰყვა ოფიციანტს, რომელთანაც ქორწილში იცეკვა



ინგლისის გლოსტერშირის საგრაფოს ქალაქ სტოუნჰაუსის მკვიდრმა საკუთარ ქორწილში ოფიციანტთან იცეკვა და რვა წლის შემდეგ მისი ცოლი გახდა.

37 წლის ნატალი პერის თქმით, 2012 წელს ქორწილი საბერძნეთის კუნძულ კრიტზე გადაიხადა. ცერემონიაზე მან გაიცნო ოფიციანტი ფრედ კასა და მასთან სირტაკი იცეკვა. 2016 წელი პერი ქმარს გაშორდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ოჯახური მოგზაურობის დროს, ისევ ეწვია იმ რესტორანს, სადაც ქორწილი გადაიხადა. იქ ის ისევ შეხვდა კასას.

– მე ის მაშინვე ვიცანი, – აღნიშნა ქალმა.

– იმ საღამოს შევნიშნე, რომ ის თვალს არ მაშორებდა, – იხსენებს ბრიტანელი ქალბატონი, – ტუალეტში გავედი ხელების დასაბანად და მას შევხვდი. ჩვენ ვისუბრეთ.

მეორე დღეს პერი და კასა პაემანზე შეხვდნენ ერთმანეთს. ქალის მტკიცებით, მათ შორის მაშინვე იფეთქა გრძნობამ. დასვენების დარჩენილი დღეები წყვილმა ერთად გაატარა. დიდ ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ, პერის მამაკაცთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

2017 წლის დეკემბერში კასა პერისთან გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ ხელი სთხოვა. 2020 წლის თებერვალში წყვილმა იქორწინა. ისინი თაფლობის თვის კრიტზე გასატარებლად ემზადებიან.

# პაპამ საბავშვო ბაღიდან შეცდომით სხვისი ბავშვი წამოიყვანა



შვედეთის ქალაქ ბუროსში პაპამ საბავშვო ბაღიდან შეცდომით სხვისი ბავშვი წამოიყვანა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

შეცდომა ბებიამ მაშინ აღმოაჩინა, როდესაც მისმა მეუღლემ სახლში სხვისი ბავშვი, გოგონა მოიყვანა. მან შეცდომის თაობაზე საბავშვო ბაღს აცნობა და ბავშვი უკან დააბრუნა.

– ის რაც მოხდა, დაუშვებელია. ჩვენ ვაღიარებთ ჩვენ დანაშაულს, – ხაზგასმით აღნიშნა იმ საბავშვო ბაღის დირექტორმა, რომელშიც აღნიშნული ინციდენტი მოხდა, – ჩვენ სერიოზულად მოვეკიდეთ აღნიშნულ პრობლემას და შესაბამისი ზომებიც მივიღეთ, რათა შემდგომში მსგავს შემთხვევას ადგილი აღარ ჰქონდეს.

ერთ-ერთი ვერსიით, პაპას ღვიძლი შვილიშვილი სხვა გოგონაში იმიტომ აერია, რომ ბავშვები ერთი ასაკის იყვნენ და მსგავსი სახელებიც ერქვათ.

# მამაკაცი უფასო ლატარიის ბილეთმა მილიონერად აქცია



ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ მაუნტ-ვერნონის მცხოვრებმა უფასო ლატარიის ბილეთი მიიღო და მულტიმილიონერი გახდა.

რობერტ მაკკოუილმა ადგილობრივ მაღაზიაში ადრე ნაყიდი ლატარიის ბილეთი შეამოწმა და მოგების სახით კიდევ ერთი ლატარიის ბილეთი მიიღო. 23 მარტს იმ მაღაზიის მენეჯერმა, რომელშიც მაკკოუილს მოგებული ბილეთი მისცეს, შეიტყო, რომ მისმა ერთ-ერთმა მომხმარებელმა ჯეკპოტი მოხსნა, 6,3 მილიონი დოლარი მოიგო.

მაღაზიის თანამშრომელმა მაკკოუილს სახლში მათი საერთო მეგობარი გაუგზავნა, რათა მისთვის ეთქვა, რომ თავისი ლატარიის ბილეთი შეემოწმებინა. საბოლოოდ მისმა ქალიშვილმა პემმა ბილეთი სპეციალური პროგრამის გამოყენებით შეამოწმა და მამას აცნობა, რომ ლატარიის გამარჯვებული იყო.

– პემი სიხარულისგან იკრიჭებოდა და ბედნიერებისგან ხტუნავდა, – აღნიშნა მაკკოუილიმ, – მე კი ამ დროს გველივით სიმშვიდეს ვინარჩუნებდი.

ლატარიის გამარჯვებულმა აღიარა, რომ მოგებული ფულით ის, სხვა ნივთებთან ერთად, ცოლისთვის – ახალი მაცივრის, ხოლო თავისთვის სატვირთო მანქანის ყიდვას აპირებს.

# მამაკაცი პოლიციელზე განზრახ დახველებისთვის ციხეში აღმოჩნდა



მთვრალმა ლონდონელმა თავი კორონავირუსით დაავადებულად გაასაღა, პოლიციელის მისამართით განზრახ დაახველა და სასჯელად ნახევარი წლით პატიმრობა მიიღო.

55 წლის ადამ ლიუისი ლონდონის ქუჩებში მთვრალ მდგომარეობაში მყოფი სეირნობდა. ის შენიშნა და გააჩერა ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელმა. ლიუსმა თავი კორონავირუსით დაავადებულად გაასაღა და სპეციალურად დაიწყო სამართალდამცავის მისამართით დახველება. ამისთვის პოლიციელმა მამაკაცი დააპატიმრა და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა.

მეორე დღეს ადგილობრივ სასამართლოში გაიმართა ლიუისის საქმის მოსმენა. პროკურორმა აღნიშნა, რომ მამაკაცმა საკმაოდ მძიმე დანაშაული ჩაიდინა მსოფლიოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით და მას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის ბრალდება წაუყენა.

ასე რომ, ლიუისს ნახევარი წლის საერთო რეჟიმის გამოსასწორებელ კოლონიაში გატარება მოუწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# თბილისის აზერბაიჯანული თეატრიდან 11 თანამშრომელი გაუშვეს

ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული თეატრიდან 11 თანამშრომელი გაუშვეს. ისინი ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდნენ და უარს აცხადებდნენ სამხატვრო ხელმძღვანელ თურგაი ველიზადესთან მუშაობაზე.

პლატფორმა „სალამ“ თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ თურგაი ველიზადეს მიერ თეატრის 11 თანამშრომლის გათავისუფლების ფაქტს გამოეხმაურა:

– უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს აზერბაიჯანელი თემის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წუხილი და გამოწვევა სწორედ ამ თეატრთან არის დაკავშირებული. საზოგადოების არაერთი მცდელობის მიუხედავად, თეატრმა დღემდე ვერ შეძლო მისთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულება. სამწუხაროდ, აღნიშნული თეატრი დღესაც რჩება უსახო და ბინძური პოლიტიკის ასპარეზად, სადაც ხელოვან მსახიობებს არ გააჩნიათ არც რესურსები და არც შესაძლებლობა, რომ ბოლომდე გამოხატონ ეთნიკური აზერბაიჯანელი თემის სათქმელი თავად ამ თემში და მთლიანად საქართველოში.

სამწუხაროა, რომ დღემდე კულტურის სამინისტრო საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული და არადემოკრატიული მართვის პრინციპებით ხელმძღვანელობს და თეატრის მსახიობებთან კონსულტაციების გარეშე და მათი პოზიციის საწინააღმდეგოდ უნიშნავს თეატრს სამხატვრო




ხელმძღვანელებს. სამხატვრო ხელმძღვანელები კი შეირჩევიან არა პროფესიონალიზმის, ნიჭისა და შემოქმედებითი ფანტაზიების, არამედ შიდა და გარე ძალებისა და ძალაუფლების მიმართ ლოიალურობის საფუძველზე.

თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანულ დრამატულ თეატრში მიმდინარე კრიზისი გამოწვეულია წლების განმავლობაში სახელმწიფოსა და კულტურის სამინისტროს არასწორი დამოკიდებულებისა და ხედვების და არა ერთი კონკრეტული სამხატვრო ხელმძღვანელის არასწორი გადაწყვეტილების გამო.

მოვუწოდებთ კულტურის სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, რომ სწორად შეაფასონ არსებული სიტუაცია და მოახდინონ სწრაფი და შესაბამისი რეაგირება თეატრში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

დღეს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, როცა მთელი სახელმწიფო, არასამთავრობო სექტორი, ბიზნესი და აქტივისტები მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, დარჩნენ სახლებში და არ გაავრცელონ კორონავირუსი; დღეს არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, როცა ძალიან ბევრი საქართველოს მოქალაქე სახლში დარჩენით შიმშილობის საფრთხის წინაშე დგება და დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით, როცა სახელმწიფო მოუწოდებს მცირე ბიზნესებსაც კი, უხელფასო შვებულებაში არ გაუშვან თანამშრომლები, დასაგმობია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მან სამსახურიდან გაათავისუფლა 11 თანამშრომელი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მიზერულ ხელფასზე თეატრის სიყვარულითა და თავდადებით იხარჯებოდნენ საქართველოს მრავალფეროვანი კულტურის გასამდიდრებლად.

პლატფორმა „სალამ“ სოლიდარობას უცხადებს სამსახურიდან გათავისუფლებულ 11 თანამშრომელს. ჩვენ მოვუწოდებთ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში და დაიცვან გათავისუფლებული თანამშრომლების ინტერესები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

# შოთა არველაძე: „ეს კრიზისი საზოგადოებაზე ძალიან მოქმედებს“

შოთა არველაძე ნიდერლანდურ ფეხბურთში ცნობილი ფიგურაა. ჩვენებური 1997-2001 წლებში აიაქსში თამაშობდა, ხოლო 2005-07 წლებში ალკმაარის ღირსებას იცავდა. ორივე გუნდის შემადგენლობაში არველაძეს 91 გოლი აქვს გატანილი.

გასაკვირი არ არის, რომ იქაური ჟურნალისტები არველაძით დაინტერესდნენ და ინტერვიუ ჩამოართვეს.

ტაშკენტის ფახთაქორის ამჟამინდელი თავკაცი კორონავირუსზე, ფახთაქორზე, უზბეკურ კულტურასა და იოჰან კრუიფთან ვიზიტზე საუბრობს.

***— ახლა ცუდი პერიოდია. როგორ ხართ თქვენ და თქვენი ოჯახი?***

— ძალიან შეშფოთებული ვარ იმის გამო, რაც ხდება. ოჯახი კარგადაა. როცა ქასიმფაშაში ვმუშაობდი, მაშინ შევიძინე სახლი თურქეთში და ახლა სტამბოლში ვართ. ტაშკენტიდან ძლივს გამოვფრინდით კერძო თვითმფრინავით.

***— როგორ გაგყავთ შინ დრო?***

— ვკითხულობ წიგნებს, ვურეკავ მეგობრებს, ვერთობი ოჯახთან ერთად და ვუყურებ ფილმებს, ხანდახან ინსტაგრამზე ვაქტიურობ. ეს კრიზისი საზოგადოებაზე ძალიან მოქმედებს. ერთი კარგი ისაა, რომ ადამიანის ქმედებები შეზღუდულია და ცოტა ბუნებაც ამოისუნთქავს. თუმცა ასეთ პერიოდში ბევრი ეგოისტურად იქცევა. არადა, ცხოვრებაში ფული მთავარი არ არის. არც სოციალურ მედიაში პოპულარულობაა ცხოვრების კრედო. ახლა ბევრი დრო გვაქვს ერთმანეთისთვის, 9 თვის მერე კი შობადობის ბუმი ელოდება პლანეტას. თუ კრიზისი გაგრძელდება, ეს ოჯახებზეც ცუდად აისახება.

***— თქვენი ტყუპისცალი არჩილიც თქვენთან ერთადაა?***

— არა, ის თავის ოჯახთან ერთად საქართველოშია. აჩი ჩემი ასისტენტია ფახთაქორში. ადრე ვერ გვარჩევდნენ ხოლმე. ახლა ჩემი ძმა ბევრად უფრო ჭაღარაა ჩემზე.

***— ზაფხულში 3 წელი ხდება, რაც ფახთაქორში მუშაობთ, როგორ შეაფასებთ ამ პერიოდს?***

— ძალიან დადებითად. როცა კლუბში მივედით, ფახთაქორი მე-13 ადგილზე იყო. დაინტერესებული ვიყავი ევროპის გარეთ თავგადასავლით, თან ფახთაქორის შესახებ ბევრი ვიცოდი. დინამოში თამაშისას მათ წინააღმდეგ მოედანზეც გავსულვარ. გასულ სეზონში ჩვენ სუპერთასი, თასი და ჩემპიონობა მოვიგეთ. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან 40 წლის წინ ფახთაქორის 17 ფეხბურთელი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მინდო-



და ამით მათი ხსოვნის პატივისცემა. ბოლოს კლუბთან კონტრაქტი მისრულდება, მაგრამ, ჯერ არავინ იცის, რა იქნება მომავალში. კლუბს მზრუნველი მეპატრონე კი ჰყავს, მაგრამ ფულით სავსე ჩანთით ვერ მოიგებ თამაშებს. მგონი, ასე თქვა იოჰან კრუიფმა, არა?

***— მან თქვა, არასდროს მინახავს, ფულით სავსე ჩანთას გოლი გაეტანოსო.***

— დიახ. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, დაგვეხვეწა ინფრასტრუქტურა. ჩვენი გამოცდილებაც ჩავაქსოვეთ აკადემიაში. სურვილი გვაქვს, ფახთაქორს დავეხმაროთ როგორც ახლა, ისე გრძელვადიანი პროექტებით.

***— როგორია ცხოვრება ტაშკენტში?***

— ტაშკენტი თანამედროვე დიდი ქალაქია, თანაც ძალიან უსაფრთხო. ქალაქი გამწვანებულია, რაც ზაფხულის დიდ სიცხეებში გვშველის. იცით, ტაჯ მაჰალი ინდოეთში უზბეკების აგებულია. საერთოდ, უზბეკეთში არქიტექტურა მაღალ დონეზეა. სამარყანდი და ბუხარა ტურისტების საყვარელი ადგილებია. როცა კორონავისურის კრიზისი დასრულდება, ჩამოდით უზბეკეთში.

***— რამდენად პოპულარულია ფეხბურთი უზბეკეთში?***

— უზბეკური ლიგა ძლიერდება, ქვეყანაში 30.000 ფეხბურთელია. ხალხსაც ძალიან უყვარს სპორტის ეს სახეობა. როცა ადგილობრივი ელ კლასიკოა, თითქმის ყველაფერი ჩერდება.

***— მაკაბიში ხორდი კრუიფთან ერთად მუშაობდით, როგორი იყო თქვენი თანამშრომლობა?***

— ჩვენი თანამშრომლობა 6 თვეს გაგრძელდა. ახლა ძალზე იშვიათად ვეხმიანებით ერთმანეთს. ბოლოს მამის გარდაცვალება მივუსამძიმრე. იოჰანის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მას ბარსელონაში ვესტუმრე. მეგობრის დახმარებით შედგა შეხვედრა. მსურდა, იოჰანი საქართველოში ჩემი და ჩემი ძმების სპეციალურ პროექტში ჩამერთო. ბარსელონაში ლეგენდასთან დაახლოებით 6 საათი ვისაუბრე.

***— რის შესახებ?***

— ფეხბურთზე, ცხოვრებაზე, შემდეგ მოედანზეც გავედით, სადაც ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ვიხუმრე და იოჰანიც სიცილით დამეთანხმა. კრუიფი, როდესაც პრობლემებს ხვდებოდა, ყოველთვის მარტივ გადაწყვეტილებებს იღებდა. ალბათ, ახლა რამე ჭკვიანურსაც იტყოდა, თუ როგორ ებრძოლოს კაცობრიობა კორონავირუსს.

# თბილისი 2021 ერთი წლით გადაიდება

როგორც ცნობილია, ევროპის 2021 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ერთ-ერთ ჯგუფის მასპინძელი თბილისი უნდა იყოს, თუმცა ტურნირი, დიდი ალბათობით, 2022 წელს ჩატარდება – მიზეზი მსოფლიოში მოდებული პანდემია და არეული სპორტული კალენდარია.

ქალთა და ვაჟთა ევროპის ჩემპიონატების გადატანა დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც წლეულს ტოკიოში დაგეგმილი ოლიმპიური თამაშები 2021 წლის 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე პერიოდისთვის გადადეს. შეგახსენებთ, რომ ქალთა ევრობასკეტი გაისად ივნისში საფრანგეთსა და ესპანეთში უნდა ჩატარებულიყო, ვაჟთა ევროპის ჩემპიონატისთვის კი საქართველოს, იტალიას, გერმანიასა და ჩეხეთს სექტემბერში უნდა ემასპინძლათ. დღევანდელი მდგომარეობით კი ევროპირველობების დაგეგმილ ვადებში გამართვა შეუძლებელი ჩანს.

აქედან გამომდინარე, აღარ გაიმართება წლეულს ზაფხულში დაგეგმილი ასაკობრივი (16, 18, 20) ჩემპიონატებიც. სამაგიეროდ, ისინი 2021 წელს იმავე ქვეყნებში გაიმართება, სადაც წლევანდელი ტურნირები იყო დაგეგმილი.

გეტყვით იმასაც, რომ 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონი 10-19 ივლისს თბილისში უნდა ჩატარებულიყო.

# დე ლიხტით რეალი და ბარსელონა დაინტერესდნენ

ესპანური მედიის მტკიცებით, ტურინის იუვენტუსის ნიდერლანდელ მცველ მატეის დე ლიხტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გუნდის დატოვება. დიდი შანსია, ეს ზაფხულშივე მოხდეს.

ესპანური გრანდებიდან მისით ინტერესს მადრიდის რეალი და ბარსელონა იჩენენ, მაგრამ უფრო მადრიდელები აქტიურობენ.

საქმე ის არის, რომ რეალი სერხიო რამოსის შემცვლელს ეძებს და, მათი შეფასებით, დე ლიხტს უდავოდ შეუძლია ამ როლის მორგება.

სხვადასხვა წყაროს ცნობით, რეალის მესვეურები მინო რაიოლას უკვე დაუკავშირდნენ და საკუთარი სურვილის შესახებ აცნობეს. თავად რაიოლაც არ არის აღნიშნული გარიგების წინააღმდეგი, თუ მის მსუყე საკომისიოს გავითვალისწინებთ.

თუმცა, ერთია ესპანური მედია და რეალის სურვილები, ხოლო მეორე – იუვენტუსის მიზნები, რომლებშიც ნიდერლანდელის გასხვისება ჯერჯერობით არ შედის.

# ამერიკელ სტუდენტებს გიგიბერიაც შეუერთდება

ამერიკულ სტუდენტურ კალათბურთს კიდევ ერთი ქართველი შეემატა. ნცაა-ს ჯორჯიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გუნდთან ხელი მოაწერა საბა გიგიბერიამ.

დეტალები გასული წლის შემოდგომაზე გადაწყდა. სხვათა შორის, მისი დამატება ილინოისისსაც სურდა, სადაც გიორგი ბეჟანიშვილი თამაშობს.

216 სანტიმეტრი სიმაღლის ახალგაზრდა ქართველი ცენტრი 2 წლის განმავლობაში პროლიფიკ პრეპ აკადემიის უმაღლესი სკოლის გუნდში თამაშობდა. 2019-20 წლების სეზონში გიგიბერია საშუალოდ 8.5 ქულას, 6.0 მოხსნასა და 1.5 დაფარებას აკეთებდა.

ახალ გუნდ ჯორჯია ტექსში კი ისეთ კალათბურთელებს უთამაშიათ, როგორებიც არიან კენი ანდერსონი, დრუ ბერი, კრის ბოში, ვილ ბინუმი, ჯარეტ ჯეკი, სტეფან მარბერი, მარკ პრაისი, დენის სკოტი, თადეუს იანგი...

მოკლედ, ნცაა-ს პირველი დივიზიონის ძლიერ კლუბებში ახალ სეზონში 3 ქართველი კალათბურთელი ითამაშებს: სანდრო მამუკელაშვილი (თუ ნბა-ს დრაფტზე წელსვე არ აირჩიეს), გიორგი ბეჟანიშვილი და საბა გიგიბერია.

# იტალიაში ყველა გზა რომში მიდის



არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანს პაუზა ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატებში. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი სულაც არ გაგრძელდეს.

ბელგიის იუპილერ ლიგამ სეზონის დასრულების შესახებ უკვე გამოაცხადა. ამავე აზრის არის შოტლანდიის პრემიერლიგაც და იმავეს აპირებს ინგლისის პრემიერლიგის ხელმძღვანელობაც.

მართალია, უეფას სეზონის ყველა ჩემპიონატის დასრულება სურს და დისკვალიფიკაციითაც იმუქრება, მაგრამ, თუ ეს ჯაჭვი გაგრძელდა, სავარაუდოდ, კომპრომისზე წასვლა მოუწევს.

ინგლისის პრემიერლიგაში არასრულად ჩატარებული 29 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში ლივერპულია (82 ქულა). იურგენ კლოპის გუნდი უახლოეს მდევარ მანჩესტერ სიტის, რომელსაც თამაშით ნაკლები აქვს, 25 ქულით უსწრებს.

სამაგიეროდ, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კორონავირუსის გამო შეჩერებული სერია ა-ს განახლების სხვადასხვა ვარიანტს განიხილავს.

ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც კლუბების უმეტესობა ეთანხმება, შემდეგში მდგომარეობს: 20-ვე გუნდი რომის რეგიონში გაივლის მცირე შეკრებას და დედაქალაქის სტადიონებზე ჩაატარებს დარჩენილ მატჩებს. გეგმის მიხედვით, ეს ყველაფერი 45 დღეში უნდა მოესწროს.

ფეხბურთელები სისტემატურად ტესტირებას გაივლიან. თამაშებზე კი არათუ მაყურებელი, არამედ ჟურნალისტებიც არ დაიშვებიან, ხოლო მსაჯები შეკრებას გუნდებთან ერთად გაივლიან.

# ნინო სალუქვაძე: „ადრე თუ გვიან პანდემია დასრულდება“

ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე ქართული სპორტის ლეგენდა უკვე არის – ჩვენებურისთვის ტოკიოში გასამართი ოლიმპიადა მე-9 იქნება. მართალია, ამ პროცესმა 1 წლით გადაიწია, მაგრამ ფაქტის მომსწრე აუცილებლად გავხდებით.



ერთია, მოსამზადებელი პერიოდი შეიცვალა, რაც სპორტსმენისთვის, რომელიც, ამავდროულად, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტია, იოლი ნამდვილად არ არის. ლეგენდარულმა ქართველმა სპორტსმენმა ნინო სალუქვაძემ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ახალი ვადების შესახებ ისაუბრა.

**ნინო სალუქვაძე:**

– თამაშების გამართვის ვადები იგივე დარჩა – ივლის-აგვისტოს მიჯნა, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ოლიმპიადა ერთი წლით გვიან გაიმართება. რა თქმა უნდა, ყველა სპორტსმენისთვის რთულია, ერთი წლის განმავლობაში შეინარჩუნო ფორმა, ისევ შეხვიდე ფორმაში...

სპორტის ყველა სახეობას მზადების საკუთარი სისტემა აქვს. მის მიხედვითაც ვარჯიშობენ და მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში, რათა სპორტული ფორმის პიკზე მივიდნენ იმ მთავარ ტურნირამდე, რომელსაც ოლიმპიური თამაშები ჰქვია. თუმცა ახლა გამოუვალი მდგომარეობაა, რასაც ყველა გაგებით ეკიდება, მათ შორის – მეც. ჩვენ შევძლებთ, რომ ეს ერთი წელიწადი ჩავარდნა არ გვქონდეს და არ მოვდუნდეთ. ამიტომ ვაგრძელებთ ინტენსიურად ვარჯიშს. ადრე თუ გვიან ეს პანდემია დასრულდება, ჩვენ კი გავაგრძელებთ ჩვეულ რეჟიმში ცხოვრებას, ვარჯიშსა და ტურნირებში მონაწილეობას. იოლი არ არის მთელი წელიწადი სპორტული ფორმის შენარჩუნება. ამისთვის ხომ 4 წელიწადი ემზადები და ძალებს ანაწილებ. რთულია, შეისვენო ერთი წელიწადი და ისევ დაიბრუნო ის ფორმა, თუმცა გვესმის, რომ ეს უპრეცედენტო ვითარებაა, გამოუვალ მდგომარეობაში ვართ და უნდა გავუძლოთ. მით უფრო, ეს ყველას ეხება და არა მარტო ერთ რომელიმე კონკრეტულ ადამიანს. ამიტომ ყველა ერთნაირ პირობებში იქნება.

# რონალდინიომ ციხიდან შინაპატიმრობაში გადაინაცვლა

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა რონალდინიო ციხიდან გაათავისუფლეს. ესპანური მედიის ინფორმაციით, პარაგვაიში დაპატიმრებული რონალდინიო ციხიდან კი გაუშვეს, მაგრამ – არა ქვეყნიდან და ასუნსიონის ერთ-ერთ სასტუმროში შინაპატიმრობაში რჩება. ბრაზილიელმა ციხეში ერთი თვეზე ოდნავ მეტი გაატარა. რონალდინიო და მისი ძმა პარაგვაის საზღვრის გადაკვეთის დროს დააკავეს, როდესაც ქვეყანაში შეღწევისთვის ყალბი პასპორტები გამოიყენეს. პირველი დაკავების დროს რონალდინიო მალევე გაათავისუფლეს, მაგრამ გენერალური პროკურორის მოთხოვნით ის ციხეში მალევე დააბრუნეს. სასამართლომ რონალდინიოს 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს მოუწევს რონალდინიოს შინაპატიმრობაში ყოფნა.

როგორც ირკვევა, რონალდინიოს ციხის გარეთ ყოფნა 1.6 მილიონი ევრო დაუჯდა, თუმცა ეს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



ჩვენს საყვარელ
ლეგენდარულ ფეხბურთელს
ალექსანდრე (საშა)
ჩივაძეს

ვულოცავ დაბადების დღეს.
ვუსურვებ ჯანმრთელობას,
ბედნიერებასა და წარმატებებს.
დაესწარი მრავალს საყვარელ
ოჯახის წევრებთან და ყველა
ახლობელთან ერთად.

*პატივისცემით, იბო დოლიძე*

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 2. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 3. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. სახელმწიფოს, წარმოების, კომპანიის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 9. ჯემისგულიანი კანფეტი; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება, კავშირი; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრება; 20. სომხური ცეკვა.

**თარაზულად**: 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 10. კომერციული საქმიანობა; 11. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 14. ქაღალდის ფული; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. მგალობელი ჩიტი; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაიბეი; 2. არიკი; 3. რუხი; 5. ხახამი; 6. ქაოსი; 7. „ლატავრა“; 11. რეიმსი; 13. გდანსკი; 14. პაქტი; 15. „ყაზბეგი“; 16. კლინიკა; 17. გაბენი; 19. აგუტი; 20. „როშე“.

**თარაზულად:** 1. ტრაპერი; 4. კირხე; 8. ხვატი; 9. ხაჭო; 10. „ბუკერი“; 12. გაუტამა; 14. „პუმა“; 15. ყაპუზუნა; 16. კექსი; 18. ნუბია; 21. ბედია; 22. კრუშონი; 23. ტანკერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოფეინი; 2. კნესეტი; 3. პიგმენტი; 4. კაჭიჭი; 5. ვერსაჩე; 8. ლიქიორი; 9. ჰარისონი; 12. გროტესკი; 13. სტატუსი; 16. ბაბუშერა; 17. „სელტიკი“; 19. ამპერი; 20. იზორია.

**თარაზულად:** 6. კომანდორი; 7. მავრები; 8. ლემური; 10. „ფიპრესი“; 11. „ზარა“; 14. მეტაფორა; 15. სომბრერო; 18. მანეჟი; 21. მისხალი; 22. ბზიფი; 23. ისრიმი; 24. „ნატახტარი“.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.1794 |
| ევრო | — 3.4576 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.9227 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2035 |

## ამინდის პროგნოზი 9 აპრილისთვის




## მხატვარი შაკო შუკვანი 24 წლის ასაკში გარდაიცვალა



მხატვარი შაკო შუკვანი 24 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას რამდენიმე თვის წინ ლეიკემია დაუდგინდა და, სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

შაკოს სოლიდური ფინანსური დახმარება ესაჭიროებოდა. მის დასახმარებლად სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანები გაერთიანდნენ.

ინფორმაცია შაკოს გარდაცვალების შესახებ გიგი გილიგაშვილმა გაავრცელა:

– ღმერთმა გაანათლოს შენი სული, მართალო კაცო!

## მოზარდ მაყურებელთა თეატრი 9 აპრილის ტრაგედიას სპექტაკლს მიუძღვნის



1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი სპექტაკლს მიუძღვნის.

9 აპრილს, 17 საათზე, სპექტაკლის „სარა ბარა ბზია ბზბოიტ ანუ მე შენ მიყვარხარ“ ონლაინჩვენება გაიმართება.

ეს სპექტაკლი-აქციაა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებზე საუბრის წამოწყების, მცდელობა მყარად გამჯდარ დამოკიდებულებათა გადაფასების. სპექტაკლში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მუსიკა, სიმღერა და ქორეოგრაფია.

წარმოდგენაში ერთმანეთზე გადაჯაჭვულია სიყვარული, წარსული, მომავალი, ტრადიცია და აწმყო.

პიესის ავტორები არიან დიმიტრი ხვთისიაშვილი და ანა მირიანაშვილი. დამდგმელი რეჟისორია დიმიტრი ხვთისიაშვილი, დამდგმელი მხატვარი – ლომგულ მურუსიძე, კომპოზიტორი და ლოტბარი – დავით მალაზონია, ქორეოგრაფი – გია მარღანია, ვიდეოპროექცია – ლევან გვაზავა.

სპექტაკლში მონაწილეობენ ნინო ანდრიაძე, ნათია კუპატაძე, თამარ მამულაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, ია ჭილაია, ნელი ჯავახიშვილი, რატი გოგუაძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, გიორგი მაისურაძე, ნიკა ნანიტაშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, ნუგზარ ყურაშვილი, კახა ჭოლაძე, ვამეხ ჯანგიძე.

თეატრალური პროექტი განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ასევე სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დახმარებით.

სპექტაკლის ჩანაწერის ნახვა ნებისმიერ მსურველს მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფეისბუქგვერდზე შეეძლება.

## გურამ დოჩანაშვილი 81 წლის გახდა



ცოცხალი კლასიკოსი, მკითხველის ერთ-ერთი საყვარელი მწერალი გურამ დოჩანაშვილი 81 წლის გახდა.

„სამოსელი პირველი“ – ეს ის ნაწარმოებია, რომელიც გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების სავიზიტო ბარათად არის ქცეული. ფრაზები ამ ნაწარმოებიდან ათასობით მკითხველმა ზეპირად იცის და მისი თითოეული პერსონაჟიც გამორჩეულად უყვარს.

გურამ დოჩანაშვილის ყველაზე დიდი სურვილი ადამიანებს შორის ურთიერთსიყვარულია, რადგან სჯერა, რომ დედამიწას სწორედ სიყვარული ატრიალებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 9 აპრილისთვის



**ვერძი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს თავს ნუ მოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოხატვისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრიანკალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როგორ მინდა დალევა, მაგრამ დღეს ოთხშაბათია.

– ოთხშაბათი კი არა, დღეს ხუთშაბათია.

– ჰოო, როგორც ჩანს, მაინც მომიწევს დალევა...

●●●

მხოლოდ ჩვენთან შეიძლება შეკითხვაზე „რას აკეთებ?“ გიპასუხონ: „არაფერს! ვმუშაობ!“

●●●

გასახდელში ერთი ქალი მეორეს, ნაცნობს, გაკვირვებული ეკითხება:

– როდიდან ატარებ მამაკაცის ტრუსიკს?

– მას შემდეგ, რაც ჩემმა ქმარმა ის ჩვენი საწოლის ქვეშ იპოვა.

●●●

ხალხით სავსე მეტროს ვაგონში უცბად ქალმა ყვირილი ატეხა:

– ხალხო, დამეხმარეთ, ჩემს ბავშვს 20-თეთრიანი გადაეყლაპა და იხრჩობა.

ამ დროს ხალხის მასა ქალმა გამოარღვია, პატარა ბიჭს ხელი კვერცხებში სტაცა და მოუჭირა. ბავშვმა მონეტა მაშინვე გადმოაფურთხა.

დედა ქალს მადლიერი გამომეტყველებით ეუბნება:

– დიდი მადლობა, ალბათ, სასწრაფო დახმარებაში მუშაობთ!..

– არა, საგადასახადოში...

●●●

მაღაზიაში გამყიდველი პატარა ბიჭს ეკითხება:

– დარწმუნებული ხარ, რომ სახლიდან ოთხი კილო კანფეტისა და ორასი გრამი კარტოფილის საყიდლად გამოგაგზავნეს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სადიო მანე: „იურგენ კლოპი შესანიშნავი მწვრთნელია“



ლივერპულის ერთ-ერთმა ლიდერმა სადიო მანემ მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპზე ისაუბრა და თქვა, რომ იურგენი არა მარტო შესანიშნავი მწვრთნელია, არამედ – ძალიან კარგი ფსიქოლოგიც.

– კლოპთან ერთად მუშაობა უდიდესი სიამოვნებაა, რადგან ის ყველაზე რთულ მომენტებშიც ახერხებს საჭირო სიტყვების მოძებნას და ცდილობს, გუნდი კარგად განაწყოს. ის შესანიშნავი ფსიქოლოგია და ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვახერხებთ ბოლომდე ბრძოლას მოედანზე.

მანემ ასევე დაამატა, რომ კლოპი ყველა ფეხბურთელს ყურადღებას უთმობს და ცდილობს, მათი სუსტი მხარეები გამოასწოროს.

## რაკიტიჩს სევილიაში დაბრუნება მტკიცედ სურს



ბარსელონის ხორვატ ნახევარმცველ ივან რაკიტიჩს სევილიაში დაბრუნება სურს. სევილიაში რაკიტიჩი 2014 წლამდე თამაშობდა და ბარსელონაში სწორედ იქიდან გადავიდა.

რაკიტიჩს სევილიაში დაბრუნება რამდენიმე მიზეზის გამო სურს. ერთ-ერთი მისი ცოლია, რომელიც სევილიელია, ასევე ხორვატ ნახევარმცველს ძირითად შემადგენლობაში სურს თამაში, ხოლო ბარსელონაში ამ სეზონში სათადარიგოთა სკამზე საკმაოდ დიდი დრო გაატარა.

## გარი ნევილი: „ლივერპული ჩემპიონობას იმსახურებს“



ყოფილმა ფეხბურთელმა და ამჟამად საფეხბურთო ექსპერტმა გარი ნევილმა განაცხადა, რომ ლივერპული ჩემპიონობას იმსახურებს იმ შემთხვევაში, თუ სეზონი არ განახლდება. ნევილის აზრით, ყველასთვის ცხადია, სეზონი რომ არ შეწყვეტილიყო, ლივერპული ჩემპიონი გახდებოდა.

– არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ, თუ ჩემპიონატი არ განახლდა, ლივერპულს ჩემპიონობა უნდა მიენიჭოს. სხვაგვარი გადაწყვეტილება უსამართლობა იქნება. ვფიქრობ, ყველა ხვდება ამას.

ინგლისის პრემიერლიგა მინიმუმ 30 აპრილამდე შეწყვეტილია.

## პაოლო მალდინიმ და მისმა შვილმა კორონავირუსი დაამარცხეს



იტალიური ფეხბურთის ლეგენდა პაოლო მალდინიმ და მისმა შვილმა კორონავირუსი დაამარცხეს და სრულიად გამოჯანმრთელდნენ.

მათ ვირუსი ორი კვირის წინ დაუდგინდათ. მაშინ პაოლო მალდინიმ ყველას მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის და თქვა, რომ ისინი ამ დაავადებას აუცილებლად დაამარცხებდნენ.

საბედნიეროდ, მართლაც ასე მოხდა და მალდინი უკვე თავის სამსახურს დაუბრუნდა მილანში.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## აჩიკო გოგიტიძეს კორონავირუსი დაუდასტურდა



ამერიკიდან საქართველოში დაბრუნებულ ბათუმის ოპერის მომღერალ აჩიკო გოგიტიძეს კორონავირუსი დაუდასტურდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– მომივიდა დადებითი პასუხი ლუგარის ცენტრიდან. ფეხზე მაქვს გადატანილი ვირუსი, სიმღერაში, სიცილში და სიყვარულში! ძლიერი იმუნიტეტიდან გამომდინარე, ძალიან ადვილი იყო, გამომპარვოდა საერთოდ ეგ ამბავი და გადამედო ბევრი ადამიანისთვის!

სიმართლე უნდა ითქვას, 10 დღეა, ვითხოვდი ტესტის გაკეთებას, მაქსიმუმ, სახლში წასვლის წინ და უარით მისტუმრებდნენ ყოველ ჯერზე! სხვა გზა არ დამიტოვეს, დავურეკე აჭარის ჯანმრთელობის მინისტრს და გულითადად ვთხოვე, აუცილებლად გაეკეთებინათ ტესტი, რადგან რისკზონიდან, ამერიკიდან ვიყავი ჩამოსული. რომ არა ეს კეთილი და გულისხმიერი ადამიანი, ხვალ მარშით მიშვებდნენ სახლში, სადაც ოჯახის ყველა წევრს გადავდებდი ვირუსს! მე, აბა, კი ვარ გადასარევად! ყველაზე მთავარმა ჩაიარა ჩემი იმუნიტეტის წყალობით! ახლა მხოლოდ რაც დარჩენილი მაქვს, ბოლომდე გამივიდეს ინფექცია და სრულიად ჯანმრთელი დავუბრუნდები ოჯახს! ბატონო ზაალ, ჩემი გმირი ხართ!

ჩემი კეთილი რჩევა იქნება, თვითკმაყოფილებას ნუ მიეცემით და თქვენი გაზიარებული პოსტებით ნუ ტკბებით! ადრესატები მიხვდებიან. ფეისბუქპიარს სჯობია, მონიტორინგი გააძლიერეთ კარანტინში! მაგალითი ვარ აგერ, ბატონო! საქართველოს სიყვარულიდან გამომდინარე, მეტს არაფერს დავწერ! ნარცისებო...

კორონას ამარცხებს სილაღე, სიყვარული, კარგი სიმღერა და უფლის წყალობა! აბა, წამალი მე არ დამილევია! ხარებას გილოცავთ! ბედნიერი ვარ, რომ არავის გავუმწარე სიცოცხლე, განსაკუთრებით ჩემს უსაყვარლეს მამას, რომელიც ხვალ სახლში მელოდა! მიყვარხართ!

თენგიზ ცერცვაძე იყოს კარგად, მაგ კაცს ვუსმენდი, თორემ ესენი მარშით მიშვებდნენ ხვალ სახლში!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ძველი ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 2. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 3. ციმბირული ირემი; 5. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 7. ფრანგი დრამატურგი, კომედიოგრაფი; 11. მონასტერი ადიგენის რაიონში; 13. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 14. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 15. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 16. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 19. სირიის პრეზიდენტი; 20. ხორბლის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 1. მიწაში ბინადარი მღრღნელი ცხოველი; 4. პლასტიკური და რიტმული მოძრაობების ხელოვნება; 8. საკათედრო ტაძარი თბილისში; 9. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 10. ტკბილეული, დესერტი; 12. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 14. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 15. ჩინური დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 16. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად საქართველოში; 18. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 22. უძველესი ქართული სამეფო; 23. ინდოეთის ოკეანისპირა პოპულარული კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*